ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 32 (1318)

14-21 აგვისტო, 1992 წ.

# ხელისუფლების მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე

საყოველთაო შერიგება, რომელსაც სახელმწიფო საბჭოს მანიფესტის გამოცხადების შემდგომ მთელი საქართველო სულმოუთქმელად მოელოდა, არ შედგა. როგორც ოფიციალური წყაროებიდან გახდა ცნობილი, 11 აგვისტოს, ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულ ფორმირებათა ხელმძღვანელობასთან სამშვიდობო მოლაპარაკების დროს, მუხანათურად შეიპყრეს შინაგან საქმეთა მინისტრი ბატონი რომან გვენცაძე და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი ბატონი დავით სალარიძე და მათი თანმხლები პირნი. უფრო ადრე ამ ბანდიტურმა დაჯგუფებებმა ალყაში მოაქციეს თბილისის პოლიციელთა ერთი ნაწილი და მძევლად აიყვანეს ისინი. მათვე განაახლეს მატარებლების ძარცვა და ხიდების აფეთქება, რის გამოც სახელმწიფოსთვის მიყენებულმა ზარალმა უკვე 10 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. სამწუხაროდ, თანამოძმეებთან ადამიანური ენით ლაპარაკს, რაც საქართველოს თავიდან ააცილებდა ძმათა შორის ახალ სისხლისღვრას, მათ იარაღის ენით ლაპარაკი არჩიეს...

„მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს“, „ბანდიტები უნდა განადგურდნენ“, „სატანას ცეცხლითა და მახვილით უნდა ვებრძოლოთ“, „დასასჯელი უნდა დაისაჯოს“, „დასახვრეტი უნდა დაიხვრიტოს“ — ასეთი ულმობელი ვერდიქტი გამოუტანეს შეიარაღებულ ბანდიტთა მოქმედებებს 12 აგვისტოს რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილმა მომიტინგეებმა და ორატორებმა. სხვა აზრი იმ დღეს, სამწუხაროდ, თითქმის არ ყოფილა...

გთავაზობთ რამდენიმე ორატორის გამოსვლის არასრულ ტექსტს.

**მამუკა გიორგაძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი:** ბუნებრივია, ყველა ჩვენთაგანი აღშფოთებულია მომხდარით. საქართველოში უკვე დაიწყო ტერორიზმის ხანა... მოგიწოდებთ ყველას, რათა ავლაგმოთ ტერორიზმი.

**პროფესორი ნოდარ ლომოური** — 24 ივნისს, როდესაც ბანდიტებმა მოინდომეს საქართველოს ხელყოფა, თბილისში არავის შეშინებია. უამრავი ხალხი გამოეფინა ქუჩებში სამშობლოს დასაცავად... ასე უნდა მოიქცეს ყველა ქართველი, რომელ კუთხეშიაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი.

ჩვენ მივიღეთ დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი — მანიფესტი, რომლის მომხრე სახელმწიფო საბჭოში და მის გარეთაც ბევრი არ ყოფილა. ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი, რადგან მიმაჩნდა, რომ ამოწურული იყო შერიგების ყველა საშუალება. მაგრამ მე ვაღიარე და დღესაც ვაღიარებ, რომ ეს იყო უდიდესი დოკუმენტი მიღებული საქართველოს ხელისუფლების მიერ, რომელსაც დღეს ზოგიერთები უკანონოს და სისხლიანს უწოდებენ.

მაგრამ მოხდა ის საშინელება, რომელსაც არ შეიძლება რაიმე გამართლება მოეძებნოს. დღეს შეუძლებელია იყოს თუნდაც ერთი გონიერი ადამიანიც კი, ვინც ამ ბანდიტებს მხარს დაუჭერს... დღეს საკითხი ასე უნდა დაისვას: ბანდიტები საბოლოოდ უნდა განადგურდნენ.

**ლუიზა შაკიაშვილი, სახელმწიფო საბჭოს წევრი** — დიდ ილიას უთქვამს, ერის გადაშენება მაშინ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებსო. ჩემი აზრით, ერის გადაშენება მაშინაც იწყება, როცა ერის თავის ტრადიციებს კარგავს. გუშინ, როდესაც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მეთოთხმეტეჯერ იყვნენ სამეგრელოში ჩასულნი ექსპრეზიდენტის შეიარაღებულ ბანდებთან მოსალაპარაკებლად, ისინი არაკაცურად დაატყვევეს. ამაზე მეტი გადაგვარება რა უნდა იყოს?! აი, როგორ ვხვდებით ჩვენ გაეროში შესვლას! თქვენ გახსოვთ, ამ მოედანზე ჩვენ ტაშით შევხვდით ვალტერ შურღაიას გამოსვლას, რომელიც ე.წ. ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. გამსახურდიას მომხრეებმა კი, ნაცვლად იმისა, რომ ბატონი სანდრო კავსაძე გაეთავისუფლებინათ, დააპატიმრეს მათთან მოსალაპარაკებლად მისული ქართველი ვაჟკაცები... ჩვენი ხელისუფლება სწორ გზაზე დგას. მოგიწოდებთ ყველას გვერდში ამოგვიდგეთ... დრო აღარ ითმენს. სატანას ცეცხლითა და მახვილით უნდა გავუსწორდეთ...

**კინორეჟისორი ელდარ შენგელაია** — ... ყოფილ პრეზიდენტს ძალიან უყვარდა ქრისტესა და ბარაბას გზის ხსენება. დღეს კარგად ჩანს, თუ ვინ მიდის ქრისტეს გზით და ვინ ბარაბას გზით... ბარაბას ხელი მოსაკვეთია! ამ გადაწყვეტილებაში ჩვენ ერთსულოვანი უნდა ვიყვეთ...

**ირინა სარიშვილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი** — მე მიმაჩნია, რომ ხელისუფლება უნდა წავიდეს კომპრომისზე ყაჩაღების წინაშეც, თუ კი მის ხალხს საფრთხე ემუქრება. სწორედ ამ მოსაზრებით ვუჭერდი მხარს სახელმწიფო საბჭოს მანიფესტს... მაგრამ დღეს ის ვითარებაა, როდესაც ყველა აღშფოთებულია და მომხრეა, რომ ეს ბანდიტური ჯგუფები საბოლოოდ აილაგმოს... მე მზად ვარ, იარაღით ხელში ვებრძოლო მათ... მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ყაჩაღებთან ბრძოლის დროს მოსახლეობა დაზიანდეს... ჩვენ მაქსიმალურად ლმობიერნი უნდა ვიყოთ მოსახლეობის მიმართ... ორი აზრი არ არის, ეს ბანდიტები უნდა მოშორდნენ საქართველოს, როგორც შავი ჭირი...

**პროფესორი მზექალა შანიძე** — ... ბანდიტებს არა აქვთ ეროვნება და ისინი უნდა მოიკვეთონ... ჩვენ უნდა მოვნახოთ საშუალება, რათა უდანაშაულო არ დაისაჯოს, მერყევი ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ; ჩვენ არ შეიძლება ვებრძოლოთ ქალებსა და ბავშვებს, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მხოლოდ ბანდიტებს. ისინი უნდა მოისპონ, როგორც კუთხეში მომწყვდეული ვირთხები...

**პაატა კოლუაშვილი, სახალხო ფრონტის წევრი** — ... ექსპრეზიდენტმა სისხლით დატოვა თბილისი, ხოლო მისი გაკოტრებული პოლიტიკა დღეს ტერორით აპირებს რეანიმაციას. მისი შეიარაღებული მომხრეები არ ერიდებიან არანაირ ავანტიურას... ჩვენ მართლები ვართ ისტორიის წინაშე... ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა სისხლისღვრა აღარ განმეორდეს საქართველოში.

**მწერალი კობა იმედაშვილი** — ... ხალხი უნდა დაიცვას ძლიერმა ხელისუფლებამ, ჩვენ ამას მოვითხოვთ სახელმწიფო საბჭოსაგან, რადგან ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობა სჭირდება... საქართველოში ყოფილა უფრო საშინელი დღეები. ნუ დაგვავიწყდება, რომ თურქეთში ტყვეებს სწორედ ანაკლიიდან ჰყიდდნენ...

ჩვენ არ უნდა გავბოროტდეთ, მაგრამ ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყანა.

**პოეტი რეზო ამაშუკელი** — ... კაცურად უნდა მოექცე კაცს, ხოლო არაკაცს უნდა მოექცე არაკაცურად... მე არცერთი მთავრობისათვის მაინცდამაინც არ დამიხრია თავი, მაგრამ ახლა ვიტყვი, რომ უწმინდესი და უნეტარესი ილია II და ბატონი ედუარდ შევარდნაძე — ეს არის ხსნის გზა, რომელსაც ქართველი ხალხი უნდა გაჰყვეს...

**ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე** — მე დღეს მოვედი, რათა ერთმანეთისათვის შეგვეხედა, გულისტკივილი გაგვეზიარებინა, სიმართლე გვეთქვა საქართველოსთვის და ჩვენი ხალხისთვის... მანიფესტის გამოცხადებით ჩვენ ბრძნული ნაბიჯი გადავდგით... ჩვენ არცერთი არა ვართ უცოდველი — ხელისუფლებას ვგულისხმობ და არა ხალხს. ამ მანიფესტმა ყველანი გაგვწმინდა. ჩვენ ყველას შევთავაზეთ მშვიდობა; შევუნდეთ და ვაპატიეთ ჩვენს ძმებს. მე არ მეგულება ყველაზე ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ასეთ მანიფესტს მიიღებდა. ესე იგი ჩვენ ძლიერი ხალხი ვართ.

ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ჩვენი მოწოდება ბევრმა იღო ყურად. ხოლო ის, ვინც არ გაიზიარა ჩვენი კეთილი ნება და გუშინდელი ულირსი საქმე ჩაიდინა, მათ ნიადაგი გამოეცალათ. ეს უკვე აღარ არის არავითარი პოლიტიკური ძალა... მათ დაკარგეს მორალი, ზნეობა და ეროვნული სახე...

დღეს მე ვამბობ: თქვენ, ბანდიტებო და მკვლელებო, სადღაც ტყეში რომ ხართ დამალული, დააბრუნეთ ყველა მძევალი სანამ გვიან არ არის, რადგან დღევანდელი საქართველო უფრო ძლიერია, ვიდრე ერთი თვის წინ და უფრო ადრე იყო... თქვენ ლაფი გადაასხით ულამაზეს და უმშვენიერეს კუთხეს სამეგრელოს, სადაც იდეალის რანგში იყო აყვანილი სტუმართმოყვარეობა, ძმობა და მეგობრობა... სანამ გვიან არ არის, გამოისყიდეთ თქვენი დანაშაული...

ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან თქვენ, ქართველი ხალხი ჩვენთან ხართ... ჩვენ ერთად ავაშენებთ დამოუკიდებელ, ბედნიერ ქვეყანას...

მადლობას გიხდით მობრძანებისა და მხარდაჭერისთვის!

მიტინგის დასასრულს წაიკითხეს მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი.



კობა ლიკლიკაძე

# არა, გამოგონილი არაფერია...

დიდი, ძალზე დიდი ტრაგედია გათამაშდა საქართველოს თავზე 1956 წლის 9 მარტს: იმპერიის თავითფეხებამდე შეიარაღებულმა და ველიკოდერჟავულად გამუშტრულმა საბჭოთა ჯარისკაცებმა ტანკების, ტყვიამფრქვევების, ავტომატებისა და ხიშტების გამოყენებით სისხლში ჩაახრჩეს თბილისის მოსახლეობის მშვიდობიანი გამოსვლები და დანაშაულობათა რიგს, რომლითაც ყოველთვის მდიდარი იყო კომუნისტური რეჟიმის სისხლიანი ბიოგრაფია, კიდევ ერთი შავი ფურცელი შემატეს. მიზეზი ასეთი სისასტიკისა კრემლის მესვეურთა მხრიდან გასაგები იყო: იმპერიის შემქმნელი მრისხანე დიქტატორის სტალინის გარდაცვალების შემდეგ იმპერიაში შემავალი ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლები სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდნენ და საჭირო იყო მათთვის მკაცრი გაკვეთილის ჩატარება. დეციმაცია საქართველოზე შეჩერდა და გატარდა კიდეც ყოველგვარი დანდობის გარეშე...

მას შემდეგ გავიდა თითქმის ოთხი ათეული წელი. ბევრი რამ იმ საშინელი ხოცვა-ჟლეტიდან დავიწყებას მიეცა, ბევრიც მომავალში მიეცემა. არადა, მისი დავიწყება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ის ხომ საქართველოს ისტორიის, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და წამების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო...

ასეთ ვითარებაში ყოველ პუბლიკაციას, რომელიც აღნიშნული დღეების გახსენებას, მისი პერიპეტიების ამა თუ იმ სახით დაფიქსირებას და მომავალი თაობებისათვის გადაცემას ეძღვნება, უდიდესი ეროვნული, პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია. აქედან გამომდინარე, ყოველ ასეთ ნაბიჯს ქართული საზოგადოებრიობა უნდა მიესალმოს და მხარი დაუჭიროს.

ამ მხრივ უთუოდ სასარგებლო საქმე გაუკეთებია ბატონ ნოდარ ნათაძეს, როცა როგორც აღნიშნული ტრაგედიის თვითმხილველს დრო გამოუნახია, ნანახი და განცდილი ქაღალდზე გადაუტანია და პატარა წიგნაკის სახით მკითხველისათვის მიუწოდებია. წიგნაკში ყველაფერი ტრაგედიის შესაბამის სტილსა და ფერებშია წარმოდგენილი: სათაურიც („სისხლიანი პარასკევი"), თხრობის მანერაც, მოვლენების გადმოცემის თანმიმდევრობაც და მათი ანალიზიც. იმედია, საკითხით დაინტერესებული ქართველი მკითხველი, განსაკუთრებით კი ქართველი ახალგაზრდობა ბევრ საყურადღებოს გაიგებს აღნიშნული მოგონების კითხვისას და დაინახავს, თუ წინა თაობები როგორი თავგანწირვით იბრძოდნენ იმპერიული ურჩხულის წინააღმდეგ და როგორ იხოცებოდნენ ისინი საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის...

ასეთ ვითარებაში ძალზე საოცარია და სამწუხარო, რომ ქართველი ახალგაზრდობის ხოცვა-ჟლეტის ნათაძისეულმა მოგონებამ ზოგიერთ ქართველ მკითხველს (ელიზბარ ცისკარიშვილი) მოვლენების გამოგონების შთაბეჭდილება შეუქმნა და ბარონი მიუნჰაუზენიც კი გაახსენა. თანაც, ეს ყველაფერი მასობრივი გაზეთის საშუალებით მთელ საქართველოს მოჰფინა (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 18 ივლისი, 1992 წ.).

რა თქმა უნდა, ყველასა აქვს უფლება ამა თუ იმ პუბლიკაციაზე თავისი აზრი და შთაბეჭდილება გამოთქვას. მაგრამ ჩვენი აზრით ეროვნულ ტრაგედიაზე დაწერილ მოგონებაზე იმ ფორმითა და იმ მინიშნებით წერა, როგორც ეს გაკეთდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 18 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ზიანის მეტს არაფერს არ მოუტანს ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასა და მის მომავალს...

1956 წლის 9 მარტის ტრაგედია ჩვენი ეროვნული წუხილისა და გლოვის ერთ-ერთი უმძიმესი დღეა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და მის ხსენებაზე ყველა ქართველი უნდა დადუმდეს და დაღუპულთა სახელების წინაშე თავები ძირს უნდა დახაროს და თუ რომელიმე ჩვენთაგანს დაღუპულები თავისად არ მიაჩნია, მაშინ სხვათა წუხილს, სხვათა სამგლოვიარო პროცესიას, იმ ჭირისუფლის ხმამაღლა გოდებას და სახის ხოკვას, რომელიც მძაფრად განიცდის ქართველი ქალიშვილებისა და ჭაბუკების დაღუპვას, არ უნდა დავცინოთ მაინც...

შეიძლება რაიმე მოსაზრების გამო „საჭირო" იყო ბატონ ნოდარ ნათაძის პოლიტიკურ „მოუსავლეთში" ჩაშვება და წერილიც ამ მიზნით დაიწერა (ასეთი განცხადების საფუძველს იძლევა აღნიშნულ წერილზე ერთი კვირით ადრე იგივე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", იგივე ნოდარ ნათაძეზე, თითქმის იგივე მოცულობით და იგივე „გამაქიაქებელ" სტილში დაბეჭდილი წერილი). კი ბატონო, ესეც „შეიძლება", თუ ეს საქართველოს ეროვნულ ინტერესს წაადგება, მაგრამ როცა ასეთი წერილები საქართველოს ისტორიას აყალბებენ და მის ეროვნულ ინტერესებს ზიანს აყენებენ, მაშინ მსგავსი შემთხვევა არც ავტორმა არ უნდა დაუშვას და არც რედაქტორმა. 18 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილი, მიუხედავად იმისა, ავტორს უნდოდა თუ არა, საქართველოს წარსულს აყალბებს და მაშასადამე, მის ეროვნულ ინტერესებს ვნებს. აღნიშნული წერილის წაკითხვის შემდეგ ანტიქართულად განწყობილმა პირმა ან ქვეყანამ შეიძლება განაცხადოს: „1956 წლის 9 მარტს არავითარი ხოცვა არ ყოფილა, ეს ქართველი მიუნჰაუზენების გამონაგონია, ამას ჩვენ კი არა, თვით ქართველი მეცნიერები წერენო"... ასეთი პრეცენდენტის შემდეგ იგივე შეიძლება ითქვას 1989 წლის 9 აპრილის შესახებ, გორის მოსახლეობის 1992 წლის 13 ივნისის სატანკო დარბევისა და დახოცვის შესახებ და სხვათა და სხვათა შესახებ. ნუთუ ამ პოლიტიკური ანბანს ვერ ხვდება ზოგიერთი ქართველი?.. თუ ხვდება და სწორედ იმიტომ წერს ასეთ ანტიქართულ წერილებს?..

ეს საშიშროებაც რომ არ იყოს, ბატონი ნოდარის აღნიშნული მოგონებები ისედაც არ იმსახურებს გამონაგონის იარლიყს. მე თვითმხილველი ვარ როგორც დემონსტრაციების განვითარების, ისე სისხლიანი პარასკევის საშინელებების. რასაც ბატონი ნოდარი წერს, სრული სიმართლეა. აქცია მართლაც წინასწარ მზადდებოდა, მასში მართლაც ბევრი ტანკი იღებდა მონაწილეობას, ჯარისკაცები მართლაც გააფთრებულები ხოცავდნენ ადამიანებს, დაღუპულთა მსხვერპლი მართლაც არნახულად დიდი იყო იმასთან შედარებით, რაც მოგვიანებით ნახევრად ოფიციალურად გავრცელდა სახელმწიფო დოკუმენტებში. ადამიანები დახოცეს არამარტო „დომსვიაზთან" და სასტუმრო „თბილისთან", არამედ „ალექსანდროვის" ბაღშიც და „ვორონცოვის" ხიდთანაც და სხვაგან და სხვაგან. მეორე დღეს თბილისი მართლაც მკვდარ ქალაქს გავდა. ხალხს დაღუპულების არა თუ დატირების, არამედ მათზე ხმის ამოღების უფლებაც კი არ მისცეს. სუკის თანამშრომლები მოეცვინენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს, წარმოება-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და [illegible] მასობრივი დაპატიმრებები, მათი გაურკვეველი მიმართულებებით წაყვანის აქციები. ტრაგედიის მეორე დღეს მეც დამაპატიმრეს. მაშინ უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. დამაპატიმრეს უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანატის თანამშრომლებისა და სხვა პროფესორ-მასწავლებელთა თვალწინ. ადამიანები ისე იყვნენ მომხდარით დაშინებულნი, რომ ვერცერთმა იქ მყოფმა არათუ ვერ დამიცვა, შეკითხვაც კი ვერ მისცა სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ საქართველოში ახლად ჩამოსულ სუკის რუს თანამშრომელს, თუ რაზე მიჭერდა ან სად მივყავდი (შეიძლება ნათაძის ოპონენტის მსგავსმა მკითხველმა განაცხადოს „რუსი გამოგონილია, რუსი ქართველ სტუდენტს არ დააპატიმრებდა და სუკის სარდაფების № 12 საკანში არ ჩააგდებდაო". კი ბატონო, შეიძლება მე მოვიგონე, მაგრამ ვინ ჩაატარა ჩემი დაპატიმრების ოპერაცია მასზე ხომ სათანადო დოკუმენტი იქნება სუკის არქივებში...). შემდეგ იყო სუკის შენობის სარდაფის № 12 საკანში მარტოდმარტო ყოფნის საშინელი წამებიც, იყო დაკითხვებიც და იყო მოულოდნელად განთავისუფლების განცდაც...

ასე რომ, ბატონ ნოდართან გამოგონილი არაფერი არ არის და თუ ის 9 მარტის ტრაგედიაზე გამძაფრებით საუბრობს თავის მოგონებებში, რა ვუყოთ, როგორც ჩანს მას სხვებთან შედარებით უფრო მეტად სტკივა ქართველი ახალგაზრდობის დაღუპვით 40 წლის წინ მიყენებული ჭრილობა...

შოთა ქისტაური

გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფულის მიმოქცევის, ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე, პროფესორი

25.VII.92.

# პოლიტიკური ორგანიზაცია არჩევნების წინ

## („ქარტია-91"-ის პრესკონფერენცია)

პარასკევს, 7 აგვისტოს, სასტუმრო „მუზის" ჰოლში გაიმართა პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია-91"-ის შეხვედრა ჟურნალისტებთან.

თავდაპირველად პარტიის თავკაცმა, ბატონმა თედო პაატაშვილმა გააკეთა მოკლე განცხადება. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ საქართველოს გაწევრიანებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთავრდება მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და იწყება თვისობრივად ახალი ხანა. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს შიგნით არის უამრავი პრობლემა, რომელთა მოსაგვარებლად ჩვენს ორგანიზაციას აქვს თავის გზა.

ბატონმა თედომ ჟურნალისტებს გააცნო პოლიტიკური დეკლარაცია და ეკონომიკური დოკუმენტი, რომლებიც „ქარტია-91"-ის წინასაარჩევნო პლატფორმის ერთგვარ ესკიზს წარმოადგენს.

შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია. გთავაზობთ საუბრის მოკლე ჩანაწერს.

**შეკითხვა: ბატონო თედო, თქვენ პოლიტიკურ დეკლარაციაში აღნიშნავთ, რომ 1992 წლის 30 ივლისს თბილისში დადებული საქართველო-თურქეთის ხელშეკრულებაში უმართებულოდ არის ფიქსირებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის შეთანხმება, რაც საქართველოსთვის პოლიტიკურად წამგებიანია. ამ რამდენიმე დღის წინ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა კოლექტიური წერილი, რომელთა ავტორები (მათ შორისაა ცნობილი იურისტი ლევან ალექსიძე) არგუმენტირებულად ადასტურებენ, რომ ყარსის შეთანხმების ხსენება სამართლებრივად არავითარ საშიშროებას არ ქმნის. რა არგუმენტებს ემყარებით თქვენ?**

თ. პაატაშვილი: — მართალი გითხრათ, მე არ წამიკითხავს თქვენს მიერ ხსენებული წერილი, რადგან დასავლეთ საქართველოში ვიმყოფებოდი. ამდენად არც იმ არგუმენტებს ვიცნობ, რომლებსაც მიმართავენ ზემოხსენებული წერილის ავტორები.

ჩვენი არგუმენტები კი ამგვარი გახლავთ: ყარსის ხელშეკრულება დაიდო საქართველოს ძალით გასაბჭოების შემდეგ, როცა ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკური მარიონეტული ხელისუფლება იმყოფებოდა. ამდენად ეს იყო ხელშეკრულება რუსეთ-თურქეთს შორის და არა საქართველო-თურქეთს შორის.

გარდა ამისა, 1921 წლის შეთანხმებაში აშკარა ლაპარაკია თურქეთის მიერ პოლიტიკურ და არა მხოლოდ პოლიტიკურ ინტერესებზე ბათუმსა და ბათუმის ოლქში.

ამავე დროს, ჩვენთვის ცნობილია, რომ 30 ივლისის ხელშეკრულებაში ამ მუხლის შეტანა საქართველოს მხრიდან არ იყო გათვალისწინებული და იგი მოხდა თურქეთის მხარის დაჟინებული მოთხოვნით.

ეს და კიდევ სხვა მომენტები იწვევენ ჩვენს შეშფოთებას. რა თქმა უნდა, კატასტროფული აქ არაფერია, მაგრამ სჯობდა, რომ ეს მუხლი არ შესულიყო ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში.

**შეკითხვა: ბატონმა ჯაბა იოსელიანმა პოპულისტური უწოდა პოლიტიკურ პარტიათა იმ მიმართვას, რომელსაც თქვენი ორგანიზაციაც აწერს ხელს. რას იტყოდით ამის თაობაზე?**

მ. ურიდია: აქ მხოლოდ ტონია ულტიმატური და არა თავად განცხადება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დადგა დრო გაიმიჯნოს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება საქართველოში, რათა სრულყოფილად ჩატარდეს არჩევნები. თანაც ჩვენ არავის თავიდან მოშორებას არ მოვითხოვთ, როგორც ეს ზოგიერთებმა გაიგეს... ჩვენ გვსურს შეიქმნას უშიშროების საბჭო, რომელშიც გაერთიანდებიან ყველა შეიარაღებულ ფორმირებათა ხელმძღვანელები.

**შეკითხვა: ბატონო თედო, იზიარებთ თუ არა ბატონ ნოდარ ნათაძის მოსაზრებას, რომ ყოფილი პარლამენტის რეანიმაცია საჭიროა თუნდაც გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად?**

სამწუხაროდ, მე ბატონ ნოდარის იმ წერილის გაცნობა ვერ მოვახერხე, სადაც საუბარია პარლამენტის შესაძლო რეანიმაციაზე და არ ვიცი ის გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რასაც ბატონი ნოდარი ჩამოთვლის.

რაც შეეხება ყოფილი პარლამენტის აღდგენას, ჩვენ მხარს ვუჭერდით ამ იდეას იანვარ-თებერვალში. გახსოვთ, ალბათ, რომ რამდენჯერმე შევიკრიბეთ კიდეც. მაშინ მიმაჩნდა, რომ ყოფილი პარლამენტის ამოქმედება ხელს შეუწყობდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების რეგულირებას და მომავალი არჩევნების ჩატარებას უფრო სისხლსავსეს გახდიდა.

დღეს, როცა შერიგებისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფო საბჭომ და პარლამენტის არჩევნებისთვის მზადებაც მიმდინარეობს, მე ველარ ვხედავ ყოფილი პარლამენტის აღდგენის აუცილებლობას. ეს საკითხი დღის წესრიგში შეიძლება დადგეს მაშინ, თუ ოქტომბრის არჩევნებს რეალური საფრთხე შეექმნება.

**შეკითხვა: რამდენად მართებულად მიგაჩნიათ სახელმწიფო საბჭოს მანიფესტით ყოფილი ხელისუფლების შეიარაღებულ მხარდამჭერთა განთავისუფლება?**

თ. პაატაშვილი: ეს მანიფესტი უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია, რადგან საყოველთაო შერიგების გარეშე წყალში ჩაყრილი აღმოჩნდება უკანასკნელი პერიოდის მიღწევები საგარეო პოლიტიკაში, მათ შორის გაეროში გაწევრიანებაც!

მიმაჩნია, რომ სახელმწიფო არ უნდა შეჩერდეს ამ მანიფესტზე და იგი უნდა გაამაგროს სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯებით.

**შეკითხვა: შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა სრული შერიგების მისაღწევად ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბრუნება საქართველოში?**

თ. პაატაშვილი: მიუხედავად მისი პოლიტიკური შეცდომებისა, მე ეს შესაძლებლად მიმაჩნია, მაგრამ საამისოდ მან თავად უნდა გადმოდგას ნაბიჯი, რაც სამწუხაროდ არ ჩანს. ამასთან ერთად, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უარი უნდა განაცხადოს პრეზიდენტობაზე და დაბრუნდეს როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე...

ქართველ ხალხს უნდა ეყოს დიდსულოვნება, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი სამშობლოდან გადახვეწილი არ ჰყავდეს.

მოამზადა კ. ლეკლიკაძემ

# ძმა ძმისთვისაო...

დღეს ძალიან უჭირს სრულიად საქართველოს. შინაომლიობამ, პოლიტიკურმა უთანხმოებებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა, ქურდობა-ყაჩაღობამ ფიზიკურად და მორალურად წელში გატეხა და დააძაბუნა საქართველოს მოსახლეობა. შიმშილმა და სიღატაკემ მოიცვა ქვეყანა.

და მაინც, თუ ვინმეს უჭირს დღეს გამორჩეულად — ეს შიდა ქართლის მცხოვრებნი არიან, რომლებსაც იმპერიისგან თავსმოხვეულმა სამწლიანმა ომმა თითქმის ყველაფერი წაართვა, დაუნგრია ბუდეები და საკუთარი მიწა-წყლიდან ლტოლვილებად აქცია.

მადლობა ღმერთს, აგერ უკვე ერთი თვეა მიწყნარდა ომის ხმა შიდა ქართლში და გამოდევნილი ქართველებიც უბრუნდებიან თავიანთ ეზოკარს.

ჩვენი ქვეყნის მესვეურნი ძალისხმევას არ იშურებენ, რათა საბოლოოდ აღდგეს და დამკვიდრდეს ნანატრი მშვიდობა ნაომარ მიწაზე.

კონფლიქტის მოგვარების ქართულ ვარიანტს უკვე სხვა, ჩვენსავით აწიოკებული ქვეყნებიც დაგვესესხნენ, მაგრამ არის ერთი „მაგრამ"...

შესაძლოა, ის სიმშვიდე, რომელიც შიდა ქართლში მომავალში დამყარდება სასაფლაოს სიმშვიდეს დაემსგავსოს, თუ მადლს მარილიც არ მოვაყარეთ, იქაურ მოსახლეობას წელში გამართვის შესაძლებლობა არ მივეცით და მორალურთან ერთად მატერიალურადაც არ დავეხმარეთ.

შესაძლოა, ომგადახდილი ქართული სოფლების მოსახლეობა კიდევ უფრო საშიში ომის წინაშე აღმოჩნდეს, რომელსაც შემზარავი სახელი — შიმშილი ჰქვია...

ამ მხრივ, სამწუხაროდ, სასაყვედურო და საკრიტიკო უფრო მეტია, ვიდრე საქები. და მაინც საქებრით გვინდა დავიწყოთ, რადგან, კარგად გვესმის, რომ ჯიბეგამოცარიელებული სახელმწიფო, რომლის მხოლოდ ძარცვაზე ვართ ყველანი გამეცადინებული, ვერაფერს გააწყობს, თუ ჩვენს სიხარბეს და მტაცებლურ ჟინს ლაგამი არ ამოვდეთ და თავად არ დავეხმარეთ ერთმანეთს გასაჭირში; თუ არ შევიგნეთ, რომ „ჩონგური საქართველოა (საქართველო!), სიმები ჩვენ ვართ, ყველაო".

8 აგვისტოს, ბათუმის სახალხო ფრონტის ვაჟა-ფშაველას ჯგუფმა (ხელმძღვანელი მერაბ კუტუბიძე), რომელიც საქართველოს საზღვაო სანაოსნოსთან მოქმედებს, უსასყიდლოდ 360 000 მანეთის სხვადასხვა პროდუქტი და 8 ათასი ტონა დიზელის საწვავი ჩაიტანა სოფელ თამარაშენში. აღნიშნულ ჯგუფს მეგზურობას უწევდა ცხინვალის რეგიონის სამთავრობო კომისიის წევრი ტარიელ დუდაური. აჭარელმა ქველმოქმედებმა საკუთარი ხელით გაუნაწილეს მოსახლეობას მოკრძალებული ნობათი. არავინ დავიწყნიათ, მაგრამ, პირველ ყოვლისა, დაღუპულთა ოჯახებსა და მრავალშვილიან, ხელმოკლე თამარაშენელებს სცეს პატივი და ნუგეში.

ამაზეა ნათქვამი ძმა ძმისთვისაო. სწორედ ამგვარი ზნეობრივი მაგალითია ის ნათელი წერტილი, რომელიც ჩვენს გაუკუღმართებულ, ბინდისფერ წუთისოფელს აზრს აძლევს.

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ „საქართველოს" რედაქცია, სოფ. თამარაშენის თავგანწირულ მოსახლეობასთან ერთად უღრმეს მადლობას სწირავს ამ კეთილშობილური საქმის სულისჩამდგმელებს და მონაწილეებს.

ესენი გახლავთ: საქართველოს საზღვაო სანაოსნო, კომერციული ფირმა „თანადგომა", ბათუმის № 4 საიჯარო მაღაზია, აჭარხილბოსტნეულვაჭრობა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ბათუმის რძის ქარხანა, ბათუმის პურკომბინატი, სასადილოების ტრესტი, სურსათვაჭრობა, სამკერვალო ფაბრიკა, თბომავალი „გენერალი მერკვილაძის" ეკიპაჟი;

ბათუმის მკვიდრნი: ისმელ ქუთელია, ზურაბ შველიძე, ოქრო ბაჯელიძე, ალექსანდრე ფაღავა, გიორგი ბასილაძე, კუსა მეგრელიძე, ჯევრი მალაყმაძე, მერაბ ჟორჟაძე.

იმედია, აჭარელთა ქველმოქმედებას საქართველოს სხვა რეგიონებიც შეუერთებენ თავის ხმას.

სანდრო იმერი

# საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ცხინვალელი ლტოლვილების მიმართვა სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი!

ძვირფასო თანამემამულეებო! საქართველოს ხელისუფლების სამოცდაათწლიანი ანტიქართული პოლიტიკა ცხინვალში დაგვირგვინდა „სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის“ შექმნით, რომელიც დღემდე განაგრძობს არსებობას დე ფაქტოდ.

ამ თვითმართქვია ოსური მთავრობის ძალადობრივი მოქმედების შედეგად ეს ტერიტორია დაიცალა ქართველებისაგან.

ჩვენი მრავალგზის მოთხოვნა, ცხინვალთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყდეს ჩვენი წარმომადგენლის მონაწილეობით, დღემდე უყურადღებოდ რჩება.

ჩვენთან შეთანხმების გარეშე გადაწყდა და ეცნობა ფართო საზოგადოებრიობას ქართველი ლტოლვილების დაბრუნება ქ. ცხინვალში.

ნუ ვკვებავთ ერთმანეთს ილუზიებით., ნუ შევეცდებით მდგომარეობის რეალური სურათის გაყალბებას. შევხედოთ სიმართლეს თვალებში.

თანამემამულენო! მრავალგზის განვაცხადეთ და კვლავ ვიმეორებთ. გვენატრება ცხინვალში დაბრუნება, გვენატრება საკუთარი გადამწვარი და გაძარცვული კარმიდამო, ქალაქი, სადაც ჩვენ არ ვართ ლტოლვილები და სტუმრები, ვართ მასპინძლები, მაგრამ ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ცხინვალში ქართველებად, საქართველოსა და მთელი ქართველი ხალხის ჭირისა და ლხინის გამზიარებლად. ეს კი შეუძლებელია, სანამ აქ არ გავრცელდება საქართველოს ხელისუფლება მთელი მისი სტრუქტურებით და ატრიბუტებით.

დღეს კი ცხინვალში მათი ხელისუფლებაა, ვინც გამოაცხადა და ხელმძღვანელობს ოსურ რესპუბლიკას საქართველოს მიწაზე. ვინც მოაწყო ჩვენი დარბევა და სისხლისღვრა, რომელსაც დანაშაული მიუძღვის ქართველი და ოსი ხალხის წინაშე.

მათი ხელისუფლების ქვეშ ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ! საქართველოს პრესა და ტელევიზია ზეიმობს. ცხინვალში მშვიდობაა, ბრუნდებიან ლტოლვილები. ბაღები თამაშობენ, მერცხლები ჭიკჭიკებენ. დიახ! მშვიდობაა, მაგრამ არა ქართველებისათვის. დიახ! ბრუნდებიან, მაგრამ არა ქართველები. ლაპარაკია ცხინვალის აღდგენაზე, სახლების პროექტებზე, კვებაზე, კომუნიკაციებზე. დიახ! მაგრამ, არა ქართველებისათვის.

ძვირფასო თანამემამულენო! ჩვენ ყველაფერი დავკარგეთ, მაგრამ არ დაგვიკარგავს რწმენა და იმედი. ნუ დაუკარგავთ საქართველოს ცხინვალის მხარეს, საქართველოს გულს — შიდა ქართლს! დაგვიდექით მხარი! დაგვიჯერეთ! თავისუფალი საქართველო ცხინვალის გარეშე არ იქნება!

ლტოლვილთა სახელით ცხინვალის ქართველი მოსახლეობის დროებითი საბჭო

8.VIII.92

# მოსისხლე მტრები — თითო რვაათას მანეთად თვეში*

## შიდა ქართლის ცალმხრივი მოწესრიგების გეგმა მოქმედებაში

გაზეთ „საქართველოს“ მკითხველმა იცის, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი და ვარ შიდა ქართლის პრობლემების მოგვარებისა სამმხრივი (ქართულ-რუსულ-ოსური) ძალების გამოყენების გზით. ამჯერად ამ გეგმის პრინციპულ შეფასებაზე არ ვილაპარაკებ, ვინაიდან იგი უკვე ხორციელდება და მე არ მინდა, ჩემმა კრიტიკულმა გამოსვლამ გაზეთში ოდნავ მაინც შელახოს მისი განხორციელების ეფექტიანობა. მკითხველს მოვახსენებ მხოლოდ რამდენიმე გარემოებას, რომელიც ეხება ამ დარღვევას რუსული და ოსური კონტიგენტის მხრიდან. სიტყვა „დარღვევა“ შესაძლოა ზუსტი არ იყოს, რამდენადაც მე არ ვიცი (და, მით უმეტეს, საზოგადოებამ არ იცის) იმ ქართულ-რუსულ-ოსური შეთანხმების შინაარსი, რომელიც ეგრეთწოდებული „სამშვიდობო ძალების“ მოქმედებას განსაზღვრავს.

**1. რუსული კონტიგენტი ცხრაას კაცზე მეტია, ოსური — შვიდას კაცზე მეტი, ქართული — სამას კაცზე ნაკლები** (შეთანხმების თანახმად უნდა ყოფილიყო ხუთას-ხუთასი კაცი თითო მხრიდან).

2. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არავითარი კონტროლი არა აქვთ არა თუ საქართველო-რუსეთის საზღვრის მიმართ, არამედ სოფელ კეხვის ჩრდილოეთით მდებარე მთელი ზონის მიმართ. იქ დაუბრკოლებლად კონცენტ რირდებიან, წვრთნას გადიან და მძიმე ტექნიკით იარაღდებიან ოსური ეროვნების ბანდები, რომლებიც უკვე ერთიან ორგანიზებულ არმიად იქცნენ. როგორც გვეუბნებიან, განზრახულია მათი გაყვანა ქედის ჩრდილოეთით, მაგრამ არა მათი განიარაღება. ჩრდილოეთში ისინი განაგრძობენ წვრთნასა და გადაფორმირებას. შეთანხმების დარღვევაა თვით მათი გაყვანის მექანიზმიც: მათ გაყვანას სთხოვენ... ხელისუფლების უზურპატორ ყულუმბეგოვს.

3. ფრონის ხეობის ქართული სოფლები მოსახლეობისაგან დაცლილია. ამ მოსახლეობის დაბრუნებას ადგილზე გადაულახავ დაბრკოლებად ელობება რაიონში ოსების გაძლიერება. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ რამდენიმე დღის წინ სოფელ ზნაურში ბრბომ კინაღამ დაწვა ავტობუსი, რომელშიც დაბრუნების მსურველი ქართველი ლტოლვილები ისხდნენ.

4. რუსის სარდლობა პრინციპლად **ხმარობს გამოთქმას „სამხრეთ ოსეთი“ და ურთიერთობა აქვს ყულუმბეგოვის ჯგუფთან როგორც „რესპუბლიკის“ ხე**ლისუფლებასთან.

5. შეერთებული ძალების მიერ კონტროლდება თითქმის მხოლოდ ქართული დასახლების ზონები, ხოლო ოსური დასახლების ზონები უკონტროლოდაა დატოვებული.

6. ცხინვალი დღეს წმინდა ოსური ქალაქია, სადაც ცხოვრება ნორმალური ტემპით მიდის და სადაც ქართველების დაბრუნების არავითარი წინაპირობა არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს მათი უსაფრთხოების არავითარი გარანტია. ოსური მხარე ეწევა ცხინვალის რაიონში ქართველი მოსახლეობის არსებობის სიმულაციას კორესპონდენტების სხვა გარეშე პირების წინაშე (როგორც ცნობილია, ოსებმა კარგად იციან ქართული).

7. მრავალგვარ მუშა ჯგუფებში და კომისიებში, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების უკითხავად დადიან ცხინვალში („ერთობლივი კომისიის“ ხაზით ან მის გარეშე) წამდაუწუმ ფიგურირებს „სამხრეთ ოსეთი“, როგორც პოლიტიკური ერთეული. დგება გეგმები ცხინვალის ათვისებისა და განვითარებისა ისე, ვითომ ამას არ სჭირდებოდეს საქართველოს ხელისუფლების დასტური. საქართველოს ხელისუფლება ცხინვალში მიმდინარე პროცესებში ვერ მონაწილეობს ვერანაირად გარდა გენერალ გიორგაძის მონაწილეობისა, როგორც სამმხრივი სარდლობის ერთ-ერთი წევრისა.

**ვითარების სხვა მხარეებზე ამჯერად არ ვლაპარაკობ.**

**მიმაჩნია, რომ** მოვლენების განვითარებას ამავე მიმართულებით გარდუვალად მოჰყვება საქართველოს სახელმწიფოებრივი კატასტროფა ამ რეგიონში. ამ მარცხის, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მარცხის მიზეზია ქართული არმიის არარსებობა და არსებულ შეიარაღებულ ძალთა უკიდურესი სისუსტე. ქართული არმიის შექმნის პროცესის შემდგომი დაყოვნება, ისევე როგორც სამმხრივი (ქართულ-რუსულ-ოსური) თანამშრომლობის ხელშეკრულების გაგრძელება მისი ვადის გასვლის შემდეგ (14 IX) მე მიმაჩნია უდიდეს დანაშაულად საქართველოს წინაშე.

ნოდარ ნათაძე

* ასეთია „სამშვიდობო ჯარების“ რიგითის ხელფასი.

# ზოგიერთი მოსაზრება საქართველო-თურქეთის ხელშეკრულების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულება, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაიდო თბილისში, ჩვენმა პრესამ უკვე მონათლა ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად. თავად ასეთი ხელშეკრულების დადება ისტორიული მასშტაბის მოვლენაა და იგი ალბათ კიდევ დიდხანს იქნება შესწავლის საგანი. მე მომიხდა მონაწილეობა მიმეღო ხელშეკრულების ქართული მხარის მიერ წინასწარ ჩატარებულ ექსპერტიზაში. მაშინ გამოთქმულ იქნა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნებიხელშეკრულების ტექსტის მიმართ და შემუშავებულ იქნა ერთიანი პოზიცია თურქეთის დელეგაციასთან მოლაპარაკებისათვის. ჩატარდა მოლაპარაკება, დაიდო ხელშეკრულება და აღმოჩნდა, რომ იგი არ ითვალისწინებს თითქმის არცერთ წინადადებას, არამედ მთლიანად არის აგებული თურქეთის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტზე. კომპრომისი, ზოგჯერ ცალმხრივი დათმობაც, მითუმეტეს როცა საქმე ეხება ახლადშეძენილ მეგობრებს, დიპლომატიაში დასაშვები ამბავია, მაგრამ, ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მეტად პრინციპულ საკითხებთან. კერძოდ, ახალი ხელშეკრულების პრეამბულაში ნათქვამია: „მხარეები აცხადებენ, რომ დაიცავენ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს დაწყებული 1921 წლის 18 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით“.

ყარსის ხელშეკრულების ახალი ხელშეკრულებით დადასტურებას თურქეთის მხარე განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვდა და ეს მოტივირებული იყო იმით, რომ სწორედ ყარსში დადგინდა საზღვრები თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის და სწორედ არსებული საზღვრების დასაკანონებლად იყო საჭირო 1921 წლის ხელშეკრულების ახალ ხელშეკრულებაში ხსენება. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის გარკვეული გამეორება, ვინაიდან ახალ ხელშეკრულებაში, იქვე, პრეამბულაში, ცოტა ზემოთ მხარეები არაორაზროვნად ადასტურებენ საზღვრების ურღვეობის პრინციპს. ქართული მხარე მზად იყო ეს პრინციპი ცალკე მუხლად გამოტანილიყო. მიუხედავად იმისა, თურქული მხარისათვის მაგიური მიზიდულობა სწორედ სიტყვა „ყარსით“ აღმოაჩნდა. ელემენტარული ლოგიკა გვიკარნახებს, რომ ამგვარი პოზიცია აიხსნება არა იმდენად არსებული საზღვრების დაფიქსირების სურვილით, რამდენადაც თვითონ იმით, თუ როგორი პირობებით არის დაფიქსირებული ეს საზღვრები. კერძოდ, 1921 წლის ხელშეკრულების მე-6-ე მუხლის თანახმად „ოსმალეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სიუზერენიტეტი ბათუმის ნავსადგურზე და ქალაქზე, და იმ ტერიტორიაზე, რომელიც შედიოდა ბათუმის ოლქში, იმ პირობით, რომ მოსახლეობა ამ ადგილებისა ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრაციულის მხრით, რომელიც უზრუნველყობს თითოეული თემის კულტურულ და სარწმუნოებრივ უფლებებს და რომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება დაადგინოს ისეთი საადგილმამულო კანონი, რომელიც ეთანხმება მის სურვილებს“ აქ ნიშანდობლივია ის, რომ ტერმინი სუვერენიტეტი შეცვლილია სუზერენიტეტით, რაც ითვალისწინებს ავტონომიის არსებობას. ამ მუხლიდან გამოდის ისე, რომ თურქეთი გადასცემს საქართველოს მის მიერ მიტაცებულ ისტორიული ქართული ტერიტორიის ნაწილს, გარკვეული პირობებით. იგულისხმებოდა, რომ თუ ეს პირობები არ შესრულდებოდა, ე.ი. თუ თურქეთი ჩასთვლიდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ ეძლევა საკმარისი ავტონომია, თვითონ ტერიტორიის გადაცემის აქტიც კარგავდა იურიდიულ ძალას. ამგვარად, ეს მუხლი აკანონებს თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესებს აჭარაში.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებებზე ზრუნვის ფაქტში არაფერი არაორდინარული არ არის და ის თავისთავად მისასალმებელია — საკმარისია გავიხსენოთ ამ საკითხზე ევროთათბირის და ევროპის საბჭოს დოკუმენტები, მაგრამ სრულიად გაუგებარია, თუ რატომ არის ჩვენს შემთხვევაში ეს ზრუნვა ცალმხრივი. ახლადდადებულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი თურქეთში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ქართულ უმცირესობაზე. არადა თურქეთის მთავრობის პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის საკითხში შორს არის საერთაშორისო სტანდარტებისაგან. თურქეთი ბოლო დრომდე საერთოდ უარყოფდა მის ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობების არსებობას. უფრო მეტიც, თურქეთი გარკვეული ეჭვიანობით უყურებს თურქეთში კომპაქტურად დასახლებული ქართული უმცირესობის კონტაქტებს საქართველოსთან. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც ადგილობრივ ხელისუფალთა ძალზე მწვავე რეაქცია საქართველოდან ჩასული ზოგიერთი ვაიტურისტის მიერ ტყვია-წამლით ვაჭრობაზე. თვითონ ამგვარი ვაჭრობა, რა თქმა უნდა, კრიმინალური ფაქტია. მაგრამ თურქებმა მასში, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური საფრთხე დაინახეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბოლო თვეებში საქართველოს სასაზღვრო რაიონებში დაკანონდა ახალი ადმინისტრაციული გაყოფა. ადგილი ჰქონდა თურქეთის სხვა რაიონებიდან არაქართველი მოსახლეობის ჩამოსახლებას. ყველაფერი ეს მიანიშნებს იმაზე, რომ თურქეთის მთავრობას გააჩნია განსაზღვრული პოლიტიკა მის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების შესაძლო სეპარატისტული განწყობილების თავიდან ასაცილებლად. ამ საქმეში თურქეთის მთავრობისათვის ხელსაყრელია აჭარის კარტის გათამაშებაც. ამისათვის კი იურიდიულ საფუძველს სწორედ ყარსის ხელშეკრულება იძლევა. ის, რომ ყარსის ხელშეკრულების ამგვარი ინტერპრეტაციისგან თურქეთი უკან არ დაიხევს, გვიჩვენა ნახიჭევანის კრიზისმაც და თურქეთის მხრიდან ჩარევის არაორაზროვანმა მუქარამ. ეს მუქარა იურიდიულად საბუთდებოდა სწორედ ნახიჭევანის მიმართ ყარსის ხელშეკრულების ანალოგიური მუხლით. სულაც არ არის აუცილებელი, რომ თურქთმა აჭარის ძალით მიერთება სცადოს. საკმარისია განვითარდეს კვიპროსის სცენარი. თურქეთის არმიის ინტერვენციის შედეგად კვიპროსის თურქული ნაწილი ფაქტიურად გამოეყო კვიპროსს, თუმცა ეს გამოყოფა არავინ სცნო მსოფლიოში. თავად თურქეთის არმია[illegible] მიზნის მიღწევის შე[illegible] სწრაფად დასტოვა კუნძული. მე შორს ვარ იმისაგან, რომ ვამტკიცო თურქეთის დღევანდელი მთავრობის წასვლის შესაძლებლობა ასეთ ავანტურისტულ ნაბიჯებზე. მაგრამ მთავრობა შეიძლება გამოიცვალოს და ყველანაირი შემთხვევაა გასათვალისწინებელი. ყარსის ხელშეკრულების უარყოფის ერთ-ერთ სერიოზულ არგუმენტად გამოდგებოდა ის, რომ იგი დადებულია საქართველოს ოკუპაციის შემდეგ. ეს ფაქტიურად იყო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად ფორმალურად ჩართეს დაპყრობილი ქვეყნების საოკუპაციო ხელისუფლები. საერთაშორისო სამართალში ამგვარი ხელშეკრულებები ბათილად ითვლება. სხვა რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ უბრალოდ შეურაცხმყოფელია ბოლშეიკური და დღევანდელი საქართველოს ერთ მხარედ ხსენება. ისე, როგორც ეს არის გაკეთებული 1992 წლის ხელშეკრულებაში. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ქართველმა დიპლომატებმა თურქებთან მოლაპარაკების დროს ეს არგუმენტი არ გამოიყენეს. ჩვენს მხრივ ცალმხრივი დათმობა მით უფრო გაუგებარია იმიტომ, რომ ხელშეკრულების დადება და მასში საზღვრების ურღვევობის დაფიქსირება თურქეთს ჩვენზე მეტად თუ არა, ნაკლებად ნამდვილად არ სჭირდებოდა რეგიონში შექმნილი სიტუაციის გამო.

საბედნიეროდ, 1992 წლის ხელშეკრულება ძალაში შევა საქართველოს ახალი პარლამენტის მიერ რატიფიკაციის შემდეგ. იმედი მაქვს, რომ პარლამენტი გაითვალისწინებს ზემოთ დაფიქსირებულ მომენტებს და გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს არა კონიუნქტურული მოსაზრებებით, არამედ საქართველოს უზენაესი ეროვნული ინტერესებით.

მიხეილ სააკაშვილი

[illegible]

პავლე თოფურია

# საით ვაპირებთ? ანუ მიწის რეფორმა საქართველოში

სწორია, როდესაც ამჟამად მიღებული დადგენილებებით ჩვენი სახელმწიფო თავის საკუთრებაში იტოვებს მიწის გარკვეულ ფართობს და მას სარეფორმო ფონდში არ აერთიანებს. მაგრამ რა მიწებია ეს და როგორი მეურნეობის დამკვიდრებას ვაპირებთ მათზე? ასეთებია „სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში საზღვრიდან 21 კილომეტრის სიღრმით სტრატეგიული კულტურებით დაკავებული მიწები, მსხვილი სამექანიზაციო ფართობები (ესე იგი, ფაქტიურად მთელი ახლანდელი საკოლმეურნეო მიწა?! — პ.თ.), აგრეთვე ნაკვეთები, რომლებზეც ფუნქციონირებენ მაღალსპეციალიზებული (ასე! — პ.თ.) მეურნეობები...". იქვე აღნიშნულია, რომ დასახელებულ ზოლში მცხოვრებთ „... გამოეყოფა სარგებლობის (და არა კერძო საკუთრების?! — პ.თ.) უფლებით დამატებითი საკარმიდამო ნაკვეთები [illegible]ილის მეურნეობის პროდუქტე[illegible]საყვანად მათზე კაპიტალური [illegible]ნებლობის უფლების გარეშე [illegible] მიზნობრივ გამოყენებაზე [illegible]ი კონტროლის დაწესებით". ეს [illegible]ისტრთა კაბინეტის დადგენილებიდან არის ამოწერილი (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 44, 1992 წ., ხაზი ჩვენია, — პ.თ.).

სადღეისოდ შეიძლება გასაგები იყოს ასეთი შეზღუდვის მიზეზები. გასაგები, მაგრამ არა გამართლებული.

ჯერ ერთი, ასეთი მოსარგებლე მიწის პატრონი არ იქნება, მას არ მოუვლის, გააოხრებს და მთელი ეს ზოლი გატიალდება. შემდეგ, კერძო მწარმოებლისადმი ისევ უნდობლობას ხომ არ ვიჩენთ? რუსეთს ეს თითქმის ძვალ-რბილში გაუჯდა. გავიხსენოთ 30-იანი წლების მოწოდება „გასრისე კერძო!" („დავი ჩასტნიკა!"), რომელსაც შემდგომშიც ბეჯითად, გულმოდგინედ ასრულებდნენ.

ისევ „სოციალიზმის" პრინციპებს ვიცავთ?!

სასაზღვრო ზოლი, სამხედროების მიერ დადგენილი (დიდი-დიდი, ალბათ, სამი კმ.), თავდაცვის სამინისტროს გამგებლობაში უნდა იყოს. დანარჩენი მიწა, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, მთელ საქართველოში ერთ, სახელმწიფო მიწის კანონს უნდა ემორჩილებოდეს, რომელიც, ვთქვათ, ქართლელ თუ ჯავახელ გლეხს თანაბარ პირობებში ჩააყენებს.

თუ არასასურველ მეურნეობას, წარმოებას ვებრძვით, ეს სისხლის სამართლის და სხვა კანონებით უნდა გაკეთდეს. წარმოებას კი მხოლოდ ბაზარი და მისი კანონები უნდა წარმართავდეს.

დემოკრატიზმი ჯანსაღი ეკონომიკური, ესე იგი საზოგადოებრივი, ცხოვრების საფუძველთა საფუძველია. მეგრულში ერთი მშვენიერი, აღძრული საკითხის პირდაპირ მოპასუხე ანდაზა არსებობს. „სო იღანს ლეჯი კოპეშიას?" („სად წაიღებს ღორი კვახს?"). სახელმწიფოს ნებისმიერი მოქალაქე-მეურნე, იქნება იგი სოხუმელი მეციტრუსე, ახალქალაქელი მეკარტოფილე თუ ლაგოდეხელი მეთამბაქოე თავის ნაწარმს საზოგადოებრივ ბაზარზე არ გაიტანს? მაშ, სად წაიღებს? და რაც უფრო მჭიდრო, გაცხოველებული, შეუზღუდავი და თავისუფალი იქნება ეს საზოგადოებრივი ურთიერთობა, მით უფრო გაერთიანებული, ძლიერი და მტკიცე არ იქნება ეს სახელმწიფო? უმთავრესიც არ უნდა დაგვავიწყდეს — ეს ურთიერთობა ხომ ერთ, სახელმწიფო ენაზე — ამ შემთხვევაში, ქართულზე — იქნება დამყარებული.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს ამ სახელმწიფოს შემადგენელი მატერიალური თუ სულიერი დოვლათის ანუ ეროვნული სიმდიდრის ყოველი სახეობა. ამ სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს საბოლოო ჯამში ყოველი მოქალაქის ნებისმიერი მოღვაწეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, ეს მოქალაქე, კანონით უნდა ისჯებოდეს. მხოლოდ ამ შინაარსით შეიძლება ვილაპარაკოთ სახელმწიფო საკუთრებაზე, როგორც საზოგადოებრივ კატეგორიაზე. ამ საზოგადოების ყოველ, — დიახ, ყოველ — წევრს, საქართველო[illegible] [illegible] ნიჭისა [illegible]

ვისი ნიჭისა და შესაძლებლობების შესაბამისად გამოიყენოს აღნიშნული სიმდიდრის „საკუთარი წილი" თავისი და იმავე საზოგადოების საკეთილდღეოდ.

დღეს კი რა ხდება? სამწუხაროა, როდესაც მინისტრთა კაბინეტიც ამჟღავნებს ანტირეფორმისტულ განწყობილებას და „... ზოგიერთი მინისტრი სახელმწიფოსაგან მისთვის სამართავად გადაცემულ ქონებას პაპისგან მიღებულ მემკვიდრეობად მიიჩნევს და წამითაც არ ახსენდება, რომ იგი მთელი ხალხის საკუთრებაა..." („დრონი", № 19, 1992).

კარგია, როდესაც გაზეთის ასეთ კომენტარს კითხულობ. ეს ნიშნავს, რომ უკვე ჩამოყალიბდა, მომწიფდა გარკვეული საზოგადოებრივი აზრი პრობლემის გადასაჭრელად. ამ აზრმა უნდა გაიმარჯვოს!

როგორც ჩანს, ამ მინისტრებს დროის მსვლელობა და „ტკბილი სიტყვა" არ ესმით. რომ „შეასმინო", ამისათვის ორი გზა არსებობს: ან სისხლიანი რევოლუცია და სამოქალაქო ომი ან მშვიდობიანი რევოლუციური გარდაქმნა.

ეროვნულ სიმდიდრედ ქვეყნის დოვლათი მხოლოდ ნაციონალიზაციის შედეგად გარდაიქმნება. ნაციონალიზაციას კი რევოლუცია ან რევოლუციური გარდაქმნა ახორციელებს. სწორედ რომ რევოლუცია, რადგან გაბატონებულ, ექსპლოატატორულ კლასს და მის დამცველ სახელმწიფოს თავისი პრივილეგიები ანუ უფლება ერთის მეორეზე ბატონობისა ჯერ არსად თავისი ნებით არ დაუთმია. არც ლუარსაბ თათქარიძეს დაუთმია. არც დათმობდა!

ნაციონალიზებული ეროვნული სიმდიდრე — აი, ჩვენი უმთავრესი და არსებითი მონაპოვარი განვლილი ჯოჯოხეთური სამოცდაათი წლის განმავლობაში. მას უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ თვალის ჩინივით. დავიცვათ, რადგან იგია ჩვენი პროგრესული საზოგადოებრივი განვითარების, ჩვენი ერთობისა და სიმტკიცის ურყევი საფუძველი.

მაგრამ თუ საზოგადოებრივი ურთიერთობანი მთელი ერის სასარგებლოდ მართვადი არ იქნა, თუ კერძო საკუთრებამ საკუთარ სტიქიაში ბოროტი „აფრები" ისევ აუშვა და თავისებურად გაუტია, თუ შეუზღუდავი მიწის ფართობი და წარმოების სხვა საშუალებანი მიუღებელი (მაგრამ ვისთვის მიუღებელი?!) კომერციის საგანი და ექსპლოატაციის საფუძველი გახდება, ჩვენი ლუარსაბი („საწყალი" თათქარიძე, ახლაც აღარ მოგვისვენებია!) ისევ თავზე წამოგვასკუპდება. არხეინად ბრძანდებოდეთ, მუქთახორობით წამოზრდილი ღიპი ხელს ნამდვილად არც ახლა შეუშლის.

თათქარიძეებს, ჩვეულებრივ, ფანტიაშვილები და მშობლიური ბახვა ფულავები თუ უცხოდმოსული მიკირტუმ გასპარიჩებიც თან მოჰყვებიან ხოლმე, ვერც დაუშლით! ეს მათი საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონზომიერი შედეგი გახლავთ, რომელიც წარმოების საშუალებებზე — ცხადია, მიწაზეც, — კერძო საკუთრებას მოჰყვა.

ეს რომ არ მოხდეს — და არც უნდა მოხდეს — დროებით მთავრობას „ძირითად მიმართულებებში" გამიზნული აქვს „... ახალი ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც დაარეგულირებენ საქონლის, კაპიტალისა და შრომის ბაზარს, უზრუნველყოფენ მესაკუთრის ინტერესთა ხელშეუხებლობას და ეკონომიკურ თავისუფლებასთან ერთად ეკონომიკურ პასუხისმგებლობას". ეს მართლაც კი მწარმოებელია!

[illegible]ადი ანუ რეგულირებადი [illegible] საზოგადოების სა[illegible] „წვრილი ერის"

სასარგებლოდაც, რომელმაც სწორედ ფეოდალიზაციის დასაწყისიდანვე იწყო „გაწვრილება" და რომელსაც თათქარიძეები და მათი სოციალური ძმები, საერონიც და სასულიერონიც, საუკუნეების განმავლობაში თავზე ასხდნენ.

დღეს მთელი ერის, და არა მხოლოდ მისი პრივილეგირებული ნაწილის, სრული განვითარების უმთავრეს პირობას — ნაციონალიზებულ ეროვნულ სიმდიდრეს და სოციალურ თანასწორობას სავსებით ვფლობთ. „კანონიერად" თავზე არავინ გვაზის. ეს უკვე სისხლშიც გაგვიჯდა, ჩვეულებრივ ამბავად გვეჩვენება (და ამიტომაც დავკარგეთ რიდი და ზრდილობაც? შიში შეიქმს სიყვარულსო?!).

და თუ არ გვსურს ისევ თავზე დაგვასხდნენ — ამის მსურველნი კი ჯერაც არ გადაშენებულან, არც შიგნით და არც გარეთ — ხელი გამოვიღოთ, საკუთარ თავს და ქვეყანას მივხედოთ, კეთილი და ბოროტი, მტერი და მოყვარე ერთმანეთისგან გავარჩიოთ; ამ გარჩევისთვის საჭირო ცოდნა და უნარი შევიძინოთ...

როდესაც პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ამჟამად ხელისუფლების მქონე და ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და განმახორციელებელი, ბ-ნი რ. გოცირიძე მიწის ყიდვა-გაყიდვასგან (რაც მიღებული დადგენილებით ორი წლის შემდეგ გახდება ნებადართული — ვითომ ეს შეზღუდვა რას ისახავს მიზნად, რატომ ორი და არა მეტი ან ნაკლები?) დაკავშირებით აცხადებს, რომ „საქართველოში ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, გარდაუვალია დიდი მიწათმფლობელობა და ამაში საშიში არაფერია"-ო („საქართველოს რესპუბლიკა", № 45, 1992), კითხვები ჩნდება — ვის საკუთრებაში არსებული „დიდი მიწათმფლობელობა"? საკუთარი გზები, როდესაც ეს აუცილებელია, არ ვეძებოთ? რომელ „ყოველ ქვეყანას" მივბაძოთ? წარსულიდან ყველაფერი დავგმოთ? ისევ ბოლშევიკების და ნეობოლშევიკების თვალსაზრისს ხომ არ ვიზიარებთ? ერთი უკიდურესობიდან ისევ მეორესაკენ?!

ხელი გამოვიღოთ... დღეს კი ზოგიერთი გლეხის (თუ უმრავლესობის?) შემყურე და მსმენელი კარგ გუნებაზე ნამდვილად ვერ დადგები. გაჭირვებასა და სიძნელეებს უჩივიან: ტრაქტორი, საწვავი, შხამ-ქიმიკატები და ათასი სხვა რამ გვაკლიაო! ვისგან ელით, ბატონებო, საშველს, თუ არა საკუთარი თავისაგან? ვინ დაგაწვიმებთ ზეციურ მანანას? ისევ სხვისი ხელის შემყურედ, „მამა და მარჩენალის" ან „სოციალისტური" სახელმწიფოს კალთის იმედზე რჩებით?! ხელი გავანძრიოთ და თვითონვე ვპოვოთ გამოსავალი. „ზემოდან" დირექტივებს ნულარ ელით. ამას ხომ ხელისუფლებაც მოგვიწოდებს.

ზოგჯერ გულისწუხილით და შურითაც ნათქვამს გაიგონებ — იმან იყიდა ტრაქტორი, მე ვერაო. იმას ფული ჰქონდა, შესაძლებლობა გაჩნდა და იყიდა. თუ ერთი ვერ იყიდი, ერთ სოფელში ერთ ქუჩაზე მცხოვრები რამდენიმე მეზობელი — ხშირად ერთმანეთის მოყვარენათესავებიც — გაერთიანდით და ერთად, ზიარად იყიდეთ ტრაქტორი თუ სხვა რამ. შექმენით თქვენი ნება-სურვილით პატარა გაერთიანებები. არ გსურთ? ერთმანეთს არ ენდობით? რატომ? ისევ კერძო საკუთრების ბოროტ თესლზე ამოსულ-გახარებული გლეხური — ლაგანა მარტო გლეხური — კერძოობითის ბუნების გამო ხომ არა? ეწო

ხომ არ გახსენდებათ? — მხოლოდ თავისკენ რომ მიითლის და სხვას არას დაგიდევთ!

დღეს შენს საკარმიდამოს მოუვლი, გაუძლევები. მაგრამ ის ტრაქტორიანი მაინც რომ გაჯობებს? ეს შენი მიწა „ხვალ" იჯარით, „ზეგ" სამუდამოდ მის ხელში რომ აღმოჩნდეს, რას ილონებ?!

უკვე წერენ სოფლის არისტოკრატიის გაჩენის შესახებ (იგი ხომ აქამდეც არსებობდა), რომელსაც „ფარული პრივატიზაციის პროცესში" საუკეთესო მიწები ხელში ჩაუვარდა" და „რომელიც, ცხადია, იოლად არ დათმობს თავის მონაპოვარს" („დრონი", № 16, 1992). უფრო მეტიც! — უაღრესად გამძაფრდა ინტერესთა დაპირისპირებულობა, მასობრივი ხასიათი მიიღო შექმნილი დოვლათის განაწილების ძალისმიერმა ფორმებმა და აშკარა დატაცებებმა... ინფლაციისა და სპეკულანტური კაპიტალის ზრდამ უკიდურესად გააღრმავა ქონებრივი დიფერენციაციის მასშტაბები" („ძირითადი მიმართულებანი").

ამ დროს ყოველი მეშჩანი და ობივატელი აწუწუნდება და ყრანტალს ძორთავს ხოლმე. მოულოდნელი კი არაფერია. ასეთი — და ზოგჯერ უარესიც — ვითარება ნებისმიერ რევოლუციურ პროცესს თან სდევს. როდესაც „წყალი" ფსკერამდე აიმღვრევა, თოფი გავარდება და სისხლი დაიღვრება, აი, მაშინ წამოყოფს ხოლმე თავს ათასი ჯურის სოციალური თუ პოლიტიკური დემაგოგი, მედროვე და ამ წყალში თავისი ღლავის ან ლიფსიტას დაჭერას ეცდება. სწორედ ამ დროს გვჭირდება ნამდვილი რევოლუციური აზროვნება და ჭეშმარიტად თეორიულ საფუძველზე დამყარებული უტყუარი ალღო ახლის ძიებაში.

რა ვიღონოთ? ისევ სტალინურ კოლექტივიზაციას და „სოციალისტურ" „ურავნილოვკას" მივუბრუნდეთ? — არა! სრული თავისუფლება და არჩევანი მწარმოებელს. რაც უნდა, ის შექმნას — კერძო მეურნეობა თუ, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული იურიდიული პირის კოლექტიური მეურნეობის ნებისმიერი ფორმა — ამხანაგობა, არტელი, კოოპერატივი, კოლმეურნეობა. რაც გნებავთ, ის უწოდეთ. მისი წესდებაც თქვენვე, მწარმოებლებმა შეადგინეთ და — გამგეობაც. რასაც მოიწევთ, სახელმწიფოს „წილის" გასტუმრების შემდეგ, სადაც გინდათ, იქ წაიღეთ და გაყიდეთ. პრაქტიკულად თითქმის ფასების სრულ ლიბერალიზაციასთან ერთად თავისუფალი ვაჭრობის სათანადო დადგენილებაც ხომ უკვე მიიღო დროებითმა მთავრობამ! აღნიშნული „წილის" მოწესრიგებისა და სხვა მთელი რიგი პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად გამოიყენეთ არსებული კანონმდებლობა. ახალიც შექმენით. განა თქვენი დეპუტატები არ გეყოლებათ მომავალ პარლამენტში?!

საზოგადოებრივი ცხოვრება თვითონ გაარკვევს მეურნეობის ამ ფორმათა სიცოცხლისუნარიანობას და სახალხო სახელმწიფოც, ცხადია, მას მიანიჭებს უპირატესობას. განა ყველაფერი ეს არ არის რევოლუციური გარდაქმნა?!

დიახ, სადაც გინდათ, იქ გაყიდეთ. თუნდაც ქალაქში ჯერ ნაქირავებ ან იჯარით აღებულ, შემდეგ კი სახელმწიფოსგან შესყიდულ თქვენსავე მაღაზიაში, რომელსაც აბრად თქვენივე მეურნეობის სახელი ან ნიშანი ექნება და მე, ქალაქელი თუ სხვა მუშტარი, თქვენი საქონლის კარგ ხარისხში დარწმუნებული,

სხვასთან აღარ ვიყიდი. არა, რადგანაც კონკურენციაში [illegible] მაცრ, მაგრამ ყოველთვის [illegible]თვის აუცილებელ ბრძოლაში — იმ სხვას თქვენ აჯობეთ. ასეთ ვითარებაში ბანკმა თუ სახელმწიფო კრედიტმაც თავისი კეთილი საქმე უნდა გააკეთოს და იმ დამარცხებულს ფეხზე დადგომაში ხელი შეაშველოს... ჯერ „ბავშვი" დაიბადოს და ასეთი საზოგადოების ფორმაციული სახელი მერე გამოვძებნოთ.

ასეთ გაერთიანებას, რაც უფრო მსხვილი და მძლავრი იქნება იგი, შესაბამისად, ტექნიკაც საკუთარი ექნება და არა ისეთი, როგორიც „სოციალისტური" სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სტალინური მანქანა-ტრაქტორთა სადგური იყო — სწორედ ზედგამოჭრილი დაწესებულება ზემოხსენებული კავშირის გასაწყვეტად.

რით არის ასეთი გაერთიანებები მიუღებელი? — არაფრით! იგი „ქვემოდან", ცხოვრების წიაღში თავისუფალი მწარმოებლის ნებით იქმნება და მხოლოდ ბაზრის კანონებს ემორჩილება. იგი არსებითად განსხვავდება საბჭოური კოლმეურნეობისაგან, რომელსაც ღირებულების კანონის აბუჩად აგდებით „მისი" სახელმწიფო აიძულებდა 10—15-ჯერ იაფად ჩაებარებინა მისთვის თავისი ნაწარმი. იგი ისევე, როგორც ბევრი რამ რუსეთის იმპერიაში, „ზემოდან" განხორციელდა და მასში ძალით შეყარეს განკულაკებას ცოცხლად გადარჩენილი ნამდვილი გლეხობა. სწორედ ასეთი გლეხობის ყოფამ შვა — სრულიად კანონზომიერად — ზემოთ ხსენებული „მოუკვდა პატრონი!".

საით ვაპირებთ? ეს კითხვა მძაფრად ჟღერს დღეს, როდესაც ახალ გზებს ვირჩევთ. სიფრთხილე გვმართებს, როდესაც ახალ მოსაზრებას ვაყენებთ. მით უმეტეს, თუ იგი მომავალ პარლამენტში შესაძლებელია კანონის საფუძვლად იქცეს.

ერის ბედის განსაზღვრის დროს კერძო და პარტიულმა ინტერესებმა არ უნდა დაგვძლიოს.

კრიზისის დასაძლევად მსოფლმხედველობის მნიშვნელოვანი ცვლა მოგვიწევს. პირველ რიგში მესაკუთრის, პატრონის ახალი შეგნება და პასუხისმგებლობა გვჭირდება. შენია არა მარტო უშუალოდ შენი ეზო-გარემო, შენია მთელი სოფელი (გავიხსენოთ ისტორიული თემი), მთელი რაიონი, მთელი საქართველო. შენია და შენ უნდა მოუარო, ჩვენია და ჩვენ უნდა ვუპატრონოთ. ყოველი ჩვენთაგანისთვის ჩემია ჩემი „წილი" საქართველო და მთლიანობაში ჩვენია სრულიად საქართველო. ჩვენია არა „სოციალისტური" აბსტრაქციით, ახალი ყაიდის იმპერიალიზმისკენ რომ გაქაჩეს და რომელმაც შვა აღნიშნული „მოუკვდა პატრონი!", არამედ უშუალოდ, არსებითად და კონკრეტულად.

ასეთი მსოფლმხედველობით საქართველოს ჯერ ნამდვილად არ უცხოვრია. მის ჩამოყალიბებაში გადაუჭარბებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლად (ქალაქშიც, რა თქმა უნდა) ჭეშმარიტი თვითმმართველობის დამკვიდრებას. დეცენტრალიზაცია აქ ძირითად ღონისძიებად უნდა დავისახოთ. მაგრამ ეს უკვე ცალკე განხილვის თემაა.

ძველ მსოფლმხედველობასთან ნამდვილი ბრძოლა გვმართებს — ყველგან: ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სულიერ სფეროში. პირველ ყოვლისა საკუთარ შეგნებაში...

უნდა შევქმნათ საზოგადოება, სადაც თავისუფალი მწარმოებელი კერძო საკუთრებაში ფლობს წარმოების საშუალებებს და არაექსპლოატატორული შრომით ქმნის საზოგადოებრივ დოვლათს ანუ ეროვნულ სიმდიდრეს. არ არის ეს იოლი საქმე...

თურმე ნაპოლეონს უთქვამს (სხვასაც გაუმეორებია), მთავარია ბრძოლა დაიწყო, დანარჩენი მერე გამოჩნდებაო! დიახ, გამოჩნდება. და თუ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა სწორად გაქვს შერჩეული და თუ შენი თავის იმედიც გვაქვს — გაიტან, გაიმარჯვებ! ეს არა მარტო ერთი პიროვნების, მთელი ერის მიმართაც სრული ჭეშმარიტება გახლავთ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკადემიური ასოციაცია და ეროვნული საკითხი[1]

## (ოციანი წლების ქართული ლიტერატურის ისტორიიდან)

დავით თევზაძე

*ბრძოლისათვის მოვედი აქ, ბრძოლისათ—*
*ვის ხელახლა მოვალ, უკვდავი, უშრეტი*
*ვით ქართველთა მზიური მოდგმა.*

კოტე მაყაშვილი

„აკადემიური ასოციაცია" ლიტერატურული ორგანიზაციაა, მაგრამ განსხვავებით ზოგიერთი ლიტერატურულ-მხატვრული გაერთიანებისაგან, აღიარებდა ხელოვნების პოლიტიკურ როლს და ჩამოყალიბებულ ეროვნულ-პოლიტიკურ პოზიციაზე იდგა.

პავლე ინგოროყვას სიტყვით, ეს გაერთიანება „თავისუფალი არ იყო ნაციონალური უკლონისაგან", უფრო სწორად, დღეს შეიძლება ითქვას, რომ ამ ლიტერატურული კავშირის პროგრამა (მნიშვნელობა არა აქვს ჩამოყალიბებული იყო წერილობით პროგრამის სახით თუ არა) ითვალისწინებდა პოლიტიკური ბრძოლის კურსს. „სუვერენული" რესპუბლიკის განთავისუფლებისათვის (მას როგორც ლეგარულ ორგანიზაციას, საბჭოური რეჟიმის პირობებში უფლება არც ჰქონდა სახალხოდ ეღიარებინა წესდებით გამანთავისუფლებელი ბრძოლის რადიკალური გზა).

„აკადემიური ასოციაციის" ყოველი წევრი (და არა მხოლოდ ისინი) მოაწერდა ხელს ჩვენი საუკუნის ქართველი ხალხის ერთ-ერთი რაინდის ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და სხვათა მიმართვაზე: ქართველი ერი ამჟამად გამსჭვალულია იმ აზრით, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს აღადგინოს დამოუკიდებლობა და განთავისუფლდეს რუსეთის ოკუპაციისაგან"... (იხ. ე. გიორგაძის პუბლიკაცია, გაზ. „სოფლის ცხოვრება", 17 მაისი, 1931).

პავლე ინგოროყვა სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე ამბობდა:

რას წარმოადგენდა ძველი მწერალთა კავშირი? (იგულისხმება „აკადემიური ასოციაცია" — დ. თ.).

მწერალთა კავშირი რასაკვირველია არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს წმინდა ლიტერატურულ-კულტურულ დაჯგუფებას, მაგრამ თქმა იმისი, თითქოს მწერალთა ფართე წრეები არ იყვეს დაინტერესებული პოლიტიკური ვითარებით, ეს რასაკვირველია, არ იქნებოდა მართალი.

ძველ მწერალთა კავშირში მასიურად წარმოდგენილია უპარტიო შემოქმედი ინტელიგენცია, **მაგრამ არ დავფარავთ, რომ აქ არის ერთგვარი ნაციონალისტური „უკლონი". ამ მწერლობას ახასიათებს ნაციონალისტური აზრთა განწყობილება** (ხაზგასმა ჩემია — დ. თ.).

მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს არ არის „მომაკვდინებელი" ცოდვა, ნაციონალისტური სულისკვეთების განმტკიცებას ქართველ შემოქმედ ინტელიგენციის წრეებში აქვს თავისი ახსნა და თავისი ისტორია. დაჩაგრული პატარა ერის ნაციონალიზმი — ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვის — ეს არის თავდაცვის იარაღი. ეს ნაციონალიზმი არ არის რეტროგრადული მოვლენა. იგი თავისი ბუნებით რევოლუციურია და რადიკალური... (იხ. საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა, 1926, გვ. 89).

* * *

საქართველოს ანექსიის შემდეგ ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება ახალ ხელისუფლებასთან არ იყო ერთგვაროვანი ან არ გამოიხატა ერთგვაროვნად;

ქართველი პროლეტარული მწერლები უყოყმანოდ დაადგნენ „რევოლუციის" გზას, ცისფერყანწელთა ჯგუფმა, რომანტიკული ბუნებით თუ რევოლუციური ილუზიებით შეპყრობილმა, მანიფესტითა და მისასალმებელი ლექსით იცნო ახალი ხელისუფლება, მოგვიანებით გამოსულმა ქართველმა ფუტურისტებმაც რევოლუციისადმი სამსახური აღიარეს და ქართული მწერლობის მხოლოდ ერთადერთი ლიტერატურული გაერთიანება — „აკადემიური ასოციაცია", არსებითად ქართველ მწერალთა კავშირი, რომელიც წარმოადგენდა ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვან გაერთიანებას, დაუპირისპირდა ახალ ხელისუფლებას.

აკადემიური ასოციაციის, მისი წამყვანი ბირთვის პოლიტიკური პოზიცია, როგორც მივუთითეთ, რადიკალურია. იგი მიიჩნევს, რომ ახალი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რომელიც დამყარდა სუვერენული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაციის შედეგად, გაგრძელება ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის.

XX საუკუნის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის კ. გამსახურდიას, ვ. კოტეტიშვილის, პ. ინგოროყვას, ა. აბაშელის, ლ. ქიაჩელის, არ. ჯაჯანაშვილის, პ. მირიანაშვილისა და აკადემიური გაერთიანების სხვა წევრთა პოლიტიკურ და პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც მიმართულია საბჭოური წყობილების დამხობისა და სუვერენული რესპუბლიკის აღდგენისაკენ (იხ. წერილი „გალაკტიონი და რევოლუცია???" ალმანახი „ლხ", 1991, № 1).

აკადემიკი მწერლები აშკარად იბრძვიან რესპუბლიკის ტერიტორიის საზღვრების შენარჩუნებისათვის, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, უფლების დასაცავად და საზოგადოდ, სუვერენული რესპუბლიკის სტატუსით გათვალისწინებული ნორმების აღსადგენად.

ს. ჭილაია ახლა სწორად მიუთითებს: „აკადემიური ასოციაციის" ჟურნალებში — წერს იგი, — პოზიტიური, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მხარდამჭერის მოტივები თითქმის არ გვხვდება", სამაგიეროდ, უხვად არის წარმოდგენილი საბჭოთა ეპოქისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ამსახველი მასალები. ასეა ეს „ხომლში", „ილიონში", „საქართველოს სამრეკლოში", „ლომისში", გაზეთ „პოეზიის დღეში" („ოცწლეული", გვ. 61).

ეს თვალსაზრისი ადრე, ოციან წლებში დაამკვიდრეს ჯერ კიდევ რაპპელებმა ისეთი მკაცრი ტერმინებით, როგორიცაა „კონტრრევოლუცია", „კლასობრივი მტერი", „ბურჟუაზიული იდეოლოგია" და ა. შ. (ტერმინები ნასესხები იყო ნაპოსტოველთა პრესიდან და სერგო ორჯონიკიძის ცნობილი ლოზუნგიდან: „მტერი ან მოკავშირე!").

საბჭოთა მთავრობის მიერ დაგეშილი პროლეტმწერლები მიზნად ისახავდნენ აკადემიური გაერთიანების წევრთა შემოქმედების არაობიექტურ ანალიზს და მათ ფიზიკურ განადგურებას.

აი, რას ამბობდა სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე პროლეტარული პოეტი კალე ფეოდოსიშვილი: ქართულ მწერლობაში „ადგილი ჰქონდა ერთგვარ ლიტერატურულ კონტრ-რევოლუციასაც...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან თქვენ ზურგი აქციეთ რევოლუციას, მიმართავს იგი ს. თავაძეს — თქვენი წიგნი „შორი ნათელი" არის მენშევიკური პროკლამაცია მხატვრულ სახეებში... (ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა, გვ. 77).

რაპპული კრიტიკის საზომები დიდი ხანია დაგმობილია, როგორც ვულგარულ-სოციოლოგიზმის პრინციპებზე და ანტიეროვნულ პოზიციებზე აგებული შეხედულებების სისტემა, თუმცა უნდა ითქვას, რომ აკადემიური ასოციაციის წევრთა შემოქმედებაში მართლაც, აშკარად ჩანს ანტისაბჭოური, კონტრრევოლუციური იდეები; ისინი, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, შეგნებულად იბრძოდნენ საბჭოური სოციალურ-პოლიტიკური წყობილების დასამხობად.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და შემოქმედება. იგი ქართველი მწერლის სახელს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირებს „პატრიოტიზმსა და კეთილშობილებას". ამიტომ ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაზე პროტესტს აცხადებს პატრიოტი ქართველი მწერლებისა და ქართული ენის იგნორაციის წინააღმდეგ: „ჩვენში თუ ცილობა შეიქმნა, მხოლოდ და მხოლოდ მისთვის, რომ ქართველი მწერლების ნაწილის მიმართ იგნორაცია იყო. ჩვენ არ შეგვეძლო გულგრილად გვეცქირა, თუ როგორ იჩაგრებოდა ქართული ენა და ზოგან დღესაც იჩაგრება და უნდა გითხრათ მართალი, რომ ჩვენ ვერც იმას შევხვდებოდით გულდამშვიდებით, რომ სამურზაყანოში მეგრელ ბავშვებს ქართულად არ ასწავლიან და ამაზე ჩვენ ვერავის მოვერიდებით" (სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 49—51).

მწერალი აშკარად უნდობლობას უცხადებს მთავრობას და პოლიტიკურ ფრონტზე დამარცხებულ ქართველ ხალხს მოუწოდებს კულტურის ფრონტზე რევანშისაკენ, კულტურული ჰეგემონიის დამყარებისაკენ.

ფილიპე მახარაძე ქართველ მწერალთა პირველ ყრილობაზე (1926) თავის საბოლოო სიტყვაში ერთგვარი ნიშნის მოგებით ამბობს:

„გამსახურდია ისე გრძნობს თავის თავს, როგორც შევიწროებული. ის გრძნობს, რომ მას ნაკლები გასაქანი აქვს და თხოულობს ქართველი მწერლობის ჰეგემონიას, პირდაპირ მისი პროგრამა მაქსიმუმი ნიშნავს ქართველი მწერლობის ჰეგემონიას საქართველოში" (ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 100).

კონსტანტინე გამსახურდია თავის ცნობილ წერილში ლენინისადმი ალტერნატივის წინაშე აყენებს ოქტომბრის ბელადს (ვისი თავკაცობითაც მოხდა სუვერენული საქართველოს სამხედრო ოკუპაცია):

„ერთადერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა ეს იყო, არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თვით თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართველ ხალხს. უთხარით და მოსწერეთ იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს:

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას.

მერწმუნეთ: ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმაღლეზე არ მიეღწიოს ჯერ, როგორც ირლანდიას, მაგრამ კეზმენტები და მაკ სვინეები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა ვიდრე,

სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა".

ეს არ იყო ოდენ ცარიელი ფრაზა. კონსტანტინე გამსახურდია და აკადემიური ასოციაციის რადიკალური ჯგუფი (თვით კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, ვ. კოტეტიშვილი, ა. აბაშელი, მ. ბოჭორიშვილი და სხვები), მთავრობის წინააღმდეგ შეურიგებელ ინტელიგენციასთან ერთად, უშიშრად განაგრძობდა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ამ მიზნით სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე ფრთისა და აკადემიური ასოციაციის ბეჭდვით ორგანოებში („ილიონი", „ხომალდი", „ქართული სიტყვა", „სოციალისტ-ფედერალისტი", „ტრიბუნა", „კავკასიონი", „ახალი კავკასიონი" და სხვა) დასტამბული წერილები და მხატვრული ქმნილებები ფართოდ გამოხატავს ქართველი ხალხის პოლიტიკურ განწყობილებას. შემთხვევით არ იყო, რომ სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე ვალია ბახტაძემ — ცნობილმა კომუნისტმა ლიტერატურისმცოდნემ — საქართველოს კომპარტიის საელით ყველაზე მკაცრად (ისე როგორც ფილიპე მახარაძემ) სწორედ „აკადემიური ასოციაცია" და მისი ლიდერები ამოიღო ნიშანში.

„ხუთი წელია, რაც ჩვენ ერთმანეთს შევსცქერით, როგორც მოწინააღმდეგენი: რევოლუცია და გამსახურდიას ტიპის ინტელიგენტები. ეს არის სწორეთ მათი ბრალი, ვინც ასეთი პოზიცია გამოიმუშავა რევოლუციის წინააღმდეგ. **რევოლუცია ისეთი რამ არის, რომ შეიძლება ზოგჯერ მან თქვენს ლექსებს ანგარიში არ გაუწიოს. დროა გავიგოთ ეს"** (ხაზგასმა ავტორისაა — დ. თ., იხ. ყრილობის ანგარიში, გვ. 61).

აი, ასეთი იყო პარტიის გენერალური ხაზი. ორჯონიკიძე, კახიანი, ლოლობერიძე და სხვა ხელმძღვანელი კომუნისტები გამუდმებით დევნიდნენ საქართველოში „ძველი ორიენტაციის ადამიანებს" (თავადაზნაურები, ძველი ოფიცრები, ინტელიგენცია, რელიგიის მსახურნი); ამიერკავკასიის ცაკის მეორე პლენუმზე საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ლოლობერიძემ განაცხადა:

**„საქართველოს მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენს თავადაზნაურობა. ეს არის არაჩვეულებრივი პროცენტი, რომელიც არც ერთ ქვეყანას არა აქვს, თუ გინდ პოლონეთის პანების სამეფოშიც კი თავადაზნაურობის პროცენტი 4 პროცენტს შეადგენს.**

ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავადაზნაურთა რაოდენობა!"

საგულისხმოა, რომ წინადადების მოწონების ნიშნად პლენუმის წევრთა ნაწილმა შეძახილებით დაუდასტურა (იხ. გაზ. „სახალხო განათლება", 1989 წ. 7 ივნისი, წერილი „1924 წლის სისხლიანი ზაფხული..."). და ეს მაშინ, როცა ქართველ თავადაზნაურთა დემოკრატიული ბუნება საყოველთაოდ აღიარებულია", თუნდაც ის ფაქტი, რომ 1917 წლის 19 ნოემბერს ქართველ თავადაზნაურობის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონების უსასყიდლოდ ქართველი საზოგადოებისათვის გადაცემის თაობაზე, მმართველ პარტიას უფლებას არ აძლევდა ასე მკაცრად დაეყენებინა ქართველი ყოფილ თავადაზნაურთა ბედის საკითხი, მაგრამ როგორც „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში" ვკითხულობთ: „საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიო[illegible] სისხლიანი ტერორითა და რეპ[illegible] უკანასკნელი გამოვლინებაც იყო [illegible] აპრილის ტრაგედია. ფარული[illegible] ლოს წინააღმდეგ დღესაც გრძ[illegible] ზანია დააბრკოლოს საქართვე[illegible] თავისუფლებისა და დემოკრატ[illegible] „საქართველოს სახელმწიფოებრივ[illegible] კიდებლობის აქტი", გაზ. „ერი", 10 [illegible] 1991 წელი).

არაერთი „ცხრა აპრილი" გ[illegible] რუსეთის სახელმწიფო-სამხედრ[illegible] 1991—1992 წლებშიც ცხინვალ[illegible]

* * *

„აკადემიური ასოციაციის" ზუ[illegible] ლი ბრძოლა ახალი წყობილების წინააღმ[illegible] უნდა განვიხილოთ როგორც მთელი ქართველი ხალხის, მისი ინტელიგენციის დაუმორჩილებლობის აქტი, ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მემარცხენე ფრთაც ეროვნულ საკითხში არ იზიარებდა პარტიის პოლიტიკას და ამ ნიადაგზე 1922 წელს მოხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში განხეთქილება (ე.წ. „უკლონისტები").

ამ შემთხვევაში მთავარი ის იყო, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ აშკარად გამოამჟღავნა მტრული დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. ივანე გომართელი წერილში „საქართველო და პოეზია", რომელიც დაიბეჭდა „ხომალდში" (1922, № 4), მართებულად მიუთითებდა: კლასთა ბრძოლის გვერ[illegible]დით არსებობს ეროვნული ბრძოლა... ჯანსაღი ერი არ კვდება, ისე როგორც არ კვდება ჯანმრთელი ადამიანიო. ამიტომ ლოგიკური იყო, რომ ანექსიის მთელი პერიოდის განმავლობაში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ქართველი ხალხის თანმიმდევრული [illegible] სუფლებელი ბრძოლა (ორგანიზე[illegible] სტიქიური). ჯერ კიდევ 1922 წელს საქართველოში შეიქმნა აჯანყების ცენტრი („დამო[illegible] კიდებლობის კომიტეტი"). მასში შედიოდნენ კონსტანტინე ანდრონიკაშვილი — თავმჯდომარე, სპირიდონ ჭავჭავაძე — მთავარსარდალი, იასონ ჯავახიშვილი, შალვა ამირეჯიბი, მიხეილ ბოჭორიშვილი). უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმი", რომელიც დაუმორჩილებლობის და ბრძოლის მაგალითს აძლევდა ქართველ ხალხს რესპუბლიკის დამარცხების დღიდანვე.

1924 წლის აგვისტოს ბოლოს აჯანყება დაიწყო კახეთში, საქართველოს მთიანეთში, აჭარიაში, იმერეთში, სვანეთში... მართალია ეს აჯანყებები სისხლში ჩაახრჩეს, მაგრამ ამით ვერ ჩაჰკლეს ჩვენი ხალხის მებრძოლი სული. ამიერიდან იქმნება არალეგარული პოლიტიკური ორგანიზაციები, ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოში საბჭოური ხელისუფლების დამხობას.

აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ვალიკო ჯუღელი ბერიას შეკითხვაზე: მაინც რისთვის ჩამოხვედიო (პარიზიდან თბილისში — დ. თ.) პასუხობს:

— აჯანყების მოსაწყობად.

ბერია: ვის ეყრდნობოდით?

ჯუღელი: ყველა ჭეშმარიტ ქართველს.

ბერია: მუშებსა და გლეხებსაც?

ჯუღელი: რასაკვირველია, მათაც დაჰკარგეს თავისუფლება!

(ე. გიორგაძე, სახალხო გვარდიის წინამძღოლი ვალიკო ჯუღელი, გაზ. „განთიადი", 1991, 11 დეკემბერი).

წითელი რუსეთის ემისარი საქართველოში სერგო ორჯონიკიძე მთელი შეუპოვრობით ახორციელებდა ქართველი ერის გენოციდის პოლიტიკას, რაც რუსეთის იმპერიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში დაისახა მიზნად.

1923 წლის მარტო ერთ ღამეში „დახოცეს 200 პოლიტიკური პატიმარი, რომელთა შორის იყვნენ პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, მუშები და გლეხები" (იხ. ინტერვიუ ჯემალ კახნიაშვილთან, გაზ. „თბილისი", 1990, 13 თებერვალი).

გაუგონარი რეპრესიები გამოიწვია 1924 წლის ეროვნულმა აჯანყებამ", მაგრამ ამის შესახებ უმჯობესია სიტყვა მივცეთ ამ აჯანყების ერთ-ერთ ორგანიზატორს, მწერალ შალვა ამირეჯიბს.

აი რას წერს იგი:

„მსოფლიო სინდისი, მუდამ სწორი და შეუცდომელი მსოფლიო მოვლენათა შეფასებაში მიხვდა, რომ აგვისტოს აჯანყება იყო დაჩაგრული ერის ამხედრება მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

... იჭერდნენ და ხვრეტდნენ ისეთ ხალხს, რომელსაც აჯანყებაში ან სულ არ ჰქონდა მიღებული მონაწილეობა, ან ვერ მოასწრეს მონაწილეობის მიღება, ესე იგი იჭერდნენ და ხვრეტდნენ მარტოოდენ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ".

ბუნებრივია, ქართველი ინტელიგენცია და, შეიძლება ითქვას, მისი ავანგარდი ძალა ქართული მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, „აკადემიური ასოციაცია", როგორც „საზოგადოებრივი აზრის ბელადი", თავისო[illegible] ილებს ამ ბრძოლას და ფრონტის [illegible] ხაზზე იბრძვის.

---

1 იბეჭდება შემოკლებით.

2 წერილს ერთვის თვით ავტორის განმარტება: კეზმენტი, ირლანდიელი პატრიოტია, რომელიც 1917 წელს გერმანიის წყალქვეშა ნავით შევიდა ომის დროს ირლანდიაში და აჯანყება მოაწყო. იგი სიკვდილით დასაჯეს ინგლისელებმა, ხოლო მაკ სვინეი — ირლანდიის ქალაქ კორკის ლორდ მერი, რომელმაც 1920 წელს შიმშილით მო კლა თავი საპყრობილეში.

ავტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...ის გულისათვის, ...ღეთ მოწყალება...

...ლაქებს, ამბობენ, ...რავსო. მართალი ... ადამიანები ერთმა... აურბიან. ეს განსაკუთ... მწვავედ შეიგრძნობა ჩვენი დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების ფონზე. ენით აუწერელი სიღატაკე, თვითმკვლელობები და მკვლელობები, ძარცვა-გლეჯა, ამდენი მშიერ-მწყურვალი და უმუშევარი ხალხი... ეს ყველაფერი უცებ არ დაგვტყდომია თავს. თანდათან, წვეთ-წვეთად... უკურნებელი სენივით შემოგვეპარა უმუშევრობა და თან მოიტანა შიმშილი, ავადმყოფობა და სულიერი ტანჯვა.

ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში (განსაკუთრებით კვირის ...დაგ დღეებში) ყოველ ფეხის ნაბიჯზე, შეხვდებით მოწყალებისათვის გაწვდილ ხელს... მოწყალებას თხოულობენ ბავშვები, მოხუცები, ხანდახან ახალგაზრდებიც, ავადმყოფებიც და [illegible] ...ითი, ზოგიერთმა შეიძლება პირჯვარი [illegible] მაგვარი რაღაც შეგაწიოს, მაგრამ ვერავისგან გაიგონებთ: „ღვთის გულისათვის, მოიღეთ მოწყალება..."

[illegible] არავინ უწყის იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ ადამიანთა დათვლა ელემენტარულად შეუძლებელია. მათი რიცხვი დღითიდღე მატულობს და კლებულობს. ამბობენ, მუხათგვერდის სასაფლაოზე ყოველდღიურად შიმშილით დაუძლურებულ ორ მიცვალებულს მაინც კრძალავენ უპანაშვიდოდ და უზიარებლად, ხანდახან ჩასასვენებლის გარეშეც. მათ საფლავებს არც ჯვარი და არც პიროვნების აღმნიშვნელი აბრა დაამშვენებს, ექნება უბრალოდ რაღაც რიგითი ნომერი. ამქვეყნიდან მათ წასვლას ვერც ვერავინ გაიგებს და არც არავის დააკლდებიან. მაშ, არ არის სუსხიანი დიდი ქალაქები?!

დღეს უკვე აზრი აღარა აქვს თავის მოტყუებას, რომ ჩვენში უსახლკარონი და მიუსაფარნი არ არსებობენ. თბილისში უამრავი „ჯურღმულია" ნესტიანი სარდაფების სახით, სადაც თავს აფარებენ მთელი დღის ნაწოწიალევი მოწყალების მთხოვნელნი და, შიმშილითა და სიცივით სულს ღაფავენ.

ხანდახან ჩაივლი ვინმე თმაჭაღარა მოხუცი დედაკაცის გვერდით, ისეთ გაუსაძლის ტკივილს აღმოაჩენ მის თვალებში, რომ მაშინვე ხელი ჯიბისკენ მიგაქვს, ფულს ხელში აჩეჩებ და ცდილობ საჩქაროდ გაერიდო ამ თვალებს. ისინი კი, თითქოს ჯიბრზე, მოგდევენ და მოგძახიან: „ნუ გგონიათ, რომ ყოველი დღე იღბლიანია. კიდევ კარგი, მზიანი დარია, თორემ უამინდობაში, ქარსა და ჭყაპში ზიხარ მიწისქვეშა გასასვლელის ს... კიბეზე და გაძაგძაგებს. კანტი-კუნტად თუ ვინმე [illegible] ... ხელი ჯიბისკენ მიაქვს, მგონია ფულს იღებს. აჰ, არა, სიგარეტს უკიდებს და გზას მშვიდად განაგრძობს. ანდა, ვინმე ონავარი ბიჭი ჩავლისას ფეხს გაგკრავს უდიერად, ვითომდა უპატრონო ძაღლი იყო. ასე გრძელდება [illegible] ...ვლი ფულს და იმედგაცრუ[illegible] ...ითი ცრემლებს ვერ მალავს, ამ ...ი პური თუ მიიტანოს. შინ... ...ში „შინ" და ისევ ნე... ...კარლალალა კედლები, სიბნელე და მშორი სულს გიხუთავს. მიეგდები ძველმანებში და გატანჯულს როდის-როდის ჩაგეძინება. ღმერთო, რატომ არ მომკლავ და დროზე არ დაასრულებ ამ ძაღლურ ცხოვრებას..." ამ თვალებს კი გაექცევი, მაგრამ შუაქალაქში რომ უფრო მძიმე სანახაობას გადაეყრები?! შეჰყურებ, და არა მარტო შენ, ნაგვით სავსე ბუნკერში როგორ ეძებს საკვების ნარჩენებს ვინმე უთვისტომო და როცა „რაიმეს" აღმოაჩენს, როგორ მალულად ცდილობს მის გადაძახებას თავის ჩანთაში. ამის დამნახავს სული გეხუთება და სხვებთან ერთად თვალს არიდებ, მაგრამ მწარე სინამდვილეს სად გაექცევი? ეს ადამიანები უკვე თავის გადარჩენის ინსტიქტით ცხოვრობენ. სოციალური თუ ეკონომიკური გარანტიები უცხო ხილად [illegible] პირიდა ცხოვრება, ძალიან გაპირდა. თუმცა რომელ სოციალურ თუ ეკონომიკურ გარანტიებზეა ლაპარაკი, როცა მინიმალური პენსია, როგორც ამბობენ, 7000 მანეთი [illegible] იყოს. მაგრამ [illegible] არ [illegible]?!

მარტო მოხუცებს როდი უჭირთ. ქალაქის მიწისქვეშა გადასასვლელებში ხშირად შეხვდებით „ქუჩის მუსიკოსებს", რომლებიც ხანდახან „საეჭვო ღირებულების", ხან... ...ლურ ნაწარმოებებსაც ასრულებენ ხოლმე. მართალია, ისინი თავიანთ თავებს მოწყალების მთხოვნელებს არ უწოდებენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — გამვლელ-გამომვლელნი ასეთი მუსიკოსების ცხვირწინ დადგმულ ყუთში ფულს ყრიან. შეურაცხმყოფელი ამაში არაფერია, ისინი ხომ გაწეული შრომის საფასურს ღებულობენ. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ თითოეული ამ ახალგაზრდის ზურგს უკან სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემებით შეწუხებული ოჯახი დგას. ახლა, ვინმე ჩვენი მძიმე ყოფით გაღიზიანებული კაცი წამოიძახებს: „რას ამბობთ, რას, მათ შორის ხომ ბევრია ცრუპენტელა და ქურდბაცაცა, ვინც სულაც არ საჭიროებს შეწყალებას"... გეთანხმებით, არც უამისობაა, მაგრამ... ღვთის გულისათვის, ნუ განიკითხავთ და არ განიკითხებით.

სხვათაშორის, ადამიანებში მატერიალური თუ სულიერი კრიზისის გარდა, ურწმუნოების, დაუჯერებლობის სენმაც იფეთქა. ადამიანების უმრავლესობას დღეს თითქმის აღარ სჯერა, რომ ხვალ უკეთესი დღე გათენდება, რომ ის ჰუმანიტარული დახმარება, რაც რესპუბლიკაში შემოდის, კეთილსინდისიერად ნაწილდება და ერთეული გულ და თვალხარბი საქმოსნის ხელში არ ხვდება. შემდეგ კი ცეცხლისფასად არ იყიდება, მაშინ, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს. ამაში გადამეტებული არაფერია. ისინი, ვისაც უშუალოდ ეხება, თუკი დროზე არ იზრუნებენ და გადამჭრელ ზომებს არ მიიღებენ, ადვილი შესაძლებელია მოწყალების მთხოვნელთა არმიას [illegible] დაუმატონ, ვისაც დღეს საშუალო ხელფასით [illegible] ვაი-ვაგლახით გააქვს.

მარინა ტლაშაძე

# გაიგეთ, ხალხო, სსრკ-ში აღარ ვცხოვრობთ! ანუ ახალი დროება მოდის, ახალი დროება!..

ფელიქს კოჭიაშვილი

იმას, რაც დღეს ჩვენში ხდება, გარდამავალ პერიოდს უწოდებენ. გარდამავალს ძველსა და ახალს, ანუ სოციალიზმსა და, ტრადიციულად თუ ვიტყვით, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წყობას შორის („ტრადიციულად", რამეთუ დასავლეთში „ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ" ცნებებს თითქმის აღარ ხმარობენ).

გარდამავალიო, კი ვამბობთ, მაგრამ ჩვენ, როგორც ცნობილია, ნელ-ნელა, დინჯად სვლა, გარდასვლა, მით უფრო შენება, არ გვეხერხება, უფრო მეტად „სწრაფად, იაფად და ხარისხიანად" გვემარჯვება.

და დავიწყეთ კიდეც დამკვრელურად კაპიტალიზმის მშენებლობა.

თავის მხრივ, რით იწყება კაპიტალიზმი?

კერძო საკუთრებით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკით, საბაზრო ურთიერთობებით.

პირველი ორიოდა რა [illegible], საბაზრო ურთიერთობებს კი რაც შეეხება...

იმისთანა, ყველასა და ყველაფრისაგან თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები გაჩაღდა (კერძოდ, თბილისში), ტრანსპორტის გაჩერებებთან, მეტროს სადგურების მისასვლელ-შესასვლელ-ჩასასვლელებთან, ყველაზე თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ქვეყანაშიც რომ არ დასიზმრებიათ!

ეს რა არის!

ცოტა ხანში, სამამულო ბიზნესმენები, მენეჯერები, მარკეტინგის სპეციალისტები რომ გვეყოლება, მერე ნახონ საბაზრო ურთიერთობათა განვითარება, „დაწევა და გასწრება"!

არადა, იმდენი გვეყოლება, იქით მივაშველებთ!

დიახ, ღვთის მადლით, ბიზნესის სპეციალისტთა მომზადება-აღზრდის საქმე მართლაც რომ დიდებულადაა დაყენებული.

თავად განსაჯეთ: თბილისში ხომ უკვე ათეულობით გაიხსნა, რესპუბლიკის არცერთი ქალაქი, რაიონი არაა დარჩენილი ეკონომიკური პროფილის კოლეჯების, კომერციის ინსტიტუტების, ბიზნესის დიდი და მცირე აკადემიების გარეშე. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ კომერციული მაღაზიებივით მომრავლებულ სხვა, ათასგვარ კერძო, ფასიან სასწავლებლებშიც არაა უყურადღებოდ დატოვებული აღნიშნულ სპეციალისტთა მომზადების საშვილიშვილო საქმე, სრული საფუძველი გვაქვს, ქვეყნისა და ერის მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ!

დიახ, თამამად და ამაყად შეიძლება ითქვას, რომ მთელი საქართველო ერთ დიდ სასწავლო-სადიპლომო პოლიგონადაა ქცეული.

და ყოველდღე, ყოველ საათში კიდევ უფრო ფართოვდება ეს პოლიგონი.

რამეთუ —

ყოველდღე, ყოველ საათში, ყოველგან იხსნება ახალ-ახალი, კერძო, ფასიანი უმაღლესი სასწავლებლები!..

ხსნის ყველა, ვისაც არ ეზარება!

და შესაბამისად, პრესა, რადიო, ტელევიზია განუწყვეტლივ ეპატიჟება სასწავლებლად ყველას ვისაც კი მისვლა არ ეზარება.

ასეთი, დაუზარელი ახალგაზრდა კი, ჩვენში ხომ ათასობით, ათეულ ათასობითაა!..

და მიდიან!... ირიცხებიან!

მე შენ გეტყვი, გამოცდებზე (თუ სასწაული მოხდა და ჩატარდა), გასაუბრებაზე ცოდნას დაგიწუნებენ, უკან გაგაბრუნებენ! (ისე, კაცმა რომ თქვას, ვინ უნდა დაუწუნოს?!).

* * *

შემდგომ, სწავლა-განათლებას რაც შეეხება...

აქ, ბოროტი ენა ალბათ იტყოდა, კი მაგრამ, ასე უცებ, საიდან მოვიდნენ, როგორ გაჩნდნენ ეს ამდენი ბიზნესის, მენეჯერობის, მარკეტინგის, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციალისტები, ლექტორებიო?!

რა მოსვლა, რა გაჩენა უნდოდა, აგერ არ იყვნენ, აგერ არ არიან სოციალისტური ეკონომიკის, პოლიტეკონომიის სპეციალისტები?! გუშინ სოციალიზმის ეკონომიკას ასწავლიდა, დღეს ბიზნეს-მენეჯერებს მოამზადებს (ამ მხრივ პრობლემა რომ არ არსებობს, ისიც მოწმობს, თუ რაოდენი წარმატებით გარდაიქმნენ პარტისტორიის ლექტორები პოლიტოლოგებად, ათეიზმის სპეციალისტები — რელიგიის პროპაგანდისტებად!..).

* * *

თუმცა, სწავლა-ცოდნა, ლექტორ-მასწავლებელი რა შუაშია!

ხომ ყველამ ვიცით, რომ სწავლა-ცოდნა, კარგი ლექტორ-მასწავლებელი თითქმის არავის არ აინტერესებს. მომავალი „ბიზნესმენ-მენეჯერები" (ისევე როგორც მსგავს ფასიან სასწავლებლებში აღსაზრდელი მომავალი იურისტები, იურისტ-ეკონომისტები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, ჟურნალისტები, ხელოვნებათმცოდნეები და ა.შ. და ა.შ.) დიპლომის „ხატრით" „სწავლობენ"!..

მერედა, ეს რა ახალი ამბავია, განა აქამდე არ ვიცოდით, თუ როგორი დიპლომომანიაა, აგერ უკვე რამდენი ხანია საქართველოში-ო, იტყვის მკითხველი.

მართალი ბრძანებაა, დიპლომის, დიპლომძიების პრობლემა, „უდიპლომო სასიძოს" სინდრომი სწორედაც ძველი უბედურებაა.

კიდევ უფრო მეტი უბედურება ისაა, ამ საკითხს — დიპლომის საკითხს, — კვლავაც ძველებურად რომ ვუდგებით, ჩვენს თვალში დიპლომს ძველებური „ეშხი", ყოვლისშემძლეობის ძველებური ხიბლი რომ აქვს, ადამიანის მომავლის, ცხოვრების, განმსაზღვრელი ფაქტორის როლი რომ აკისრია.

არადა, სხვა, ახალი დროება, მართლაც კაპიტალიზმი მოდის. ამ უკანასკნელის დროს კი ისეთ „მაგიურ საბუთს", როგორიც დიპლომია, იმგვარი ძალა, „გასავალი" არა აქვს, როგორიც დღემდე ჩვენში ჰქონდა. დგება ნიჭის, გაქანების, ინიციატივის, თუ გნებავთ, მარიფათის, „შნოიანობის" პერიოდი, როცა ადამიანი პირადი ღირსებებით, საქმისათვის, „კაპიტალისტისათვის", ფირმისათვის, სახარგებლო თვისებებით დაფასდება (უნდა დაფასდეს) და არა (მხოლოდ) დიპლომით (თანაც იმგვარი „ქვის გამხეთქავი" დიპლომით, ზემოაღნიშნული „უმაღლესები" რომ დაარიგებენ ტონობით!).

მალე, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამე მაინც კერძო გახდება, სადაც ამა თუ იმ თანამდებობაზე სამუშაოდ (მისაღებად) სავალდებულო უკვე აღარ იქნება დიპლომი, სადაც პიროვნების ვარგისიანობაზე, საჭიროებაზე მისი საქმიანი თვისებებით იმსჯელებენ და არა დიპლომით!..

ასე რომ, ნუ გადაყრით ფულს, ნუ დავკარგავთ დროს, გამოვფხიზლდეთ, გამოვიდეთ „დიპლომის ბანგიდან", რათა მერე, ფულგადაყრილებისათვის, დროდაკარგულებისათვის გვიანი არ აღმოჩნდეს თითზე კბენანი!..

* * *

ამას გარდა, „დიპლომის ბანკს" სხვაგვარი საშიშროებაც ახლავს.

ჯერ აქამდე ვინ მუშაობდა (ფიზიკურად), ვინ ქმნიდა მატერიალურ პროდუქციას, დოვლათს, და ახლა, ამ „საყოველთაო უმაღლესი განათლების" პერიოდში კიდევ ახალ-ახალი, ათასობით და ათიათასობით ქართველი ახალგაზრდა რომ „დაკავდება" ფასიან სასწავლებლებში, წარმოიდგინეთ, მაშინ რაღა იქნება!

არადა, ქვეყანამ, ერმა შეიძლება იარსებოს მხოლოდ უმაღლესი განათლების „სპეციალისტებით"?!

დავიჯეროთ, ისეთ დონეზეა ჩვენში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია (ან იქნება), რომ აღარც გლეხი გვჭირდება, აღარც მუშა, აღარც ხელოსანი?! (ამ მხრივ, უკვე ახლავე რომ ვერაა კარგად საქმე, ამას ჩვენი ბაზრები, ფაბრიკა-ქარხნები, სახელოსნოებიც მოწმობენ, სადაც ხშირად მართლაც „თითით საჩვენებელი ქართველები" არიან!).

* * *

ერთხელ უკვე ვწერდი და ახლაც უნდა გავიმეორო!

ჩვენში მეტად დაბალ დონეზეა, თითქმის არ არსებობს სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის შეგნება, როცა ადამიანი, იმას ფიქრობს, იმაზე ზრუნავს, „აბა, დღეს ქვეყანას რა ვარგე, რითი ვარგოო!"

საინტერესოა, ფიქრობენ თუ არა ათასგვარი კერძო, კომერციული კოლეჯ-ინსტიტუტ-უნივერსიტეტ-აკადემიების დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ლ ე ბ ი, რექტორები და იმ სამინისტროთა ხელმძღვანელები, ასე „უპრაგონოდ" რომ გასცემენ ხოლმე ამ სასწავლებელთა გასახსნელ ლიცენზიებს, — არგებს ქვეყანას ამდენი და ამგვარი „უმაღლესი სასწავლებლები"?!

* * *

გაიგეთ, ხალხო, ჩვენ სსრკ-ში აღარ ვცხოვრობთ. საქართველო ახლა სახელმწიფოა, ჩვენი სახელმწიფო, და თუ ადრე პატრიოტი კაცი იმას ფიქრობდა, იმ წყეული სსრკ-სთვის როგორ გამოეძრო თითო აგური, ახლა ის უნდა ვიფიქროთ, საქართველოსთვის როგორ დავდოთ აგურზე აგური!..

# „მე საქართველოსთვის არაფერი გამიკეთებია"

გურამ შარაძე

... **1966 წელს** პარიზში ჩასულ ჩვენი სახელოვანი მათემატიკოსის — აკადემიკოს ილია ვეკუასთვის ვიქტორ ნოზაძეს უკითხავს: კირილე ვეკუას თუ იცნობთ, იგი ბერლინში მუშაობს, ამჟამად მოხუცია და წუხს, თავისიანების შესახებ რომ არაფერი იცისო...

...ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფელ ახუთის (ამჟამად ჩხოროწყუს რაიონშია) მღვდელს მოსე (კონონ) ვეკუას და მზეხა (ევდუკი) გოგუას ჰყავდათ სამი ვაჟი: ვლადიმერი, აკაკი და კირილე.

კირილე ვეკუა ძმებს შორის ყველაზე უმცროსი იყო. იგი დაიბადა 1891 წლის 4 (17) მაისს. ჩვენს ხელთ არსებული სიმწიფის მოწმობის მიხედვით, კ. ვეკუას 1915 წელს დაუმთავრებია ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და უმაღლესი განათლების მისაღებად ხარკოვში გამგზავრებულა იქაურ უნივერსიტეტში შესასვლელად, სადაც უსწავლია საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

კ. ვეკუა ადრე ჩაბმულა ეროვნულ მოძრაობაში, გამხდარა სოციალ-დემოკრატი, ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლისას რევოლუციურ სტუდენტობას მიემხრო, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობით საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა (ერთხანს სამეგრელოს ერთ რაიონში სამიწათმოქმედო კომისიას ხელმძღვანელობდა). თავისუფლების დაკარგვისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კ. ვეკუა, როგორც ახალი საოკუპაციო რეჟიმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე, ქართველი ხალხის სხვა მოწინავე შვილებთან ერთად დაუპატიმრებიათ და მეტეხის ციხეში ჩაუსვამთ. მაგრამ მარიონეტულ ხელისუფლებას დატუსაღებული პოლიტიკური მოღვაწენიც ძილს უფრთხობდა და მოსკოვის მითითებით ჯერ მათი საქართველოდან რუსეთში გადასახლების გეგმა შეიმუშავა, ხოლო ამ ვერაგული ჩანაფიქრის გამჟღავნების შემდეგ, გადაწყვიტა ისინი საქართველოს ფარგლებიდან სტამბოლში ან ევროპის რომელიმე სახელმწიფოში გაეძევებინა. ასე მოხდა წითელ რუსეთშიც, როცა 1922 წლის სექტემბერში ლენინმა თავიდან მოიშორა „აბეზარი ინტელიგენცია" და 75 ცნობილი რუსი ინტელიგენტი პეტროგრადის ნავსადგურიდან უცხოეთს გააძევა და მალე მათ კიდევ 160 გამორჩეული მოღვაწე მიაყოლა...

თბილისში შექმნილმა საფილტრაციო კომისიამ ს. თოდრიას, ივ. სტურუას, გ. ჩხეიძის შემადგენლობით, რომელსაც ეხმარებოდა არაქელა ოქრუაშვილი, შეადგინა 70 კაცამდე გასაძევებელთა სია მეტეხის პოლიტპატიმრებიდან და 1922 წლის 10 ოქტომბერს მათ დაატოვებინეს სამშობლო. 62 გაძევებულთა შორის იყო კირილე ვეკუაც. აი, მათი სრული სია:

სოციალ-დემოკრატები: 1. აბდუშელი შალვა, 2. ცინცაძე ნოე, 3. ნოდია ვასილ, 4. სადირაშვილი დავით, 5. ირემაშვილი იოსებ, 6. ჩიკაშუა ავთანდილ, 7. კალანდაძე ვალერიან, 8. სარჯველაძე პავლე, 9. ფოფხაძე გიორგი, 10. სალია კალისტრატე, 11. ორაგველიძე ნიკოლოზ, 12. გოცაძე სიმონ, 13. კახიანი გიორგი, 14. ბოლქვაძე გერასიმე, 15. ვეკუა მაქსიმე, 16. ვეკუა კირილე, 17. ნაცვლიშვილი ივანე, 18. ცენტერაძე ბიქტორ, 19. თაყაიშვილი ალექსანდრე (გიორგი), 20. სულუხია ნესტორ, 21. სულაქველიძე გიორგი, 22. ცინცაბაძე გრიგოლ, 23. ნინუა სერგო, 24. ჟორჟოლიანი დათიკო, 25. ნასიძე ნიკოლოზ, 26. ანჯაფარიძე კაპიტონ, 27. ვარდოიანცი მიკიჩ, 28. შებურიშვილი ალექსანდრე, 29. ახაიანი აკაკი იოსების ძე, 30. დიმიტრაშვილი თედორე, 31. კახიანი ნაპოლეონ, 32. გასიტაშვილი ალექსანდრე, 33. გოგნიაშვილი ვანო, 34. ჟღენტი გიორგი ალმასხანის ძე, 35. ხელაძე ალფესი, 36. ცინცაძე გიორგი, 37. კახიანი კალისტრატე, 38. მესუზლაპორფილე, 39. ჟღენტი სპირიდონ, 40. ბერძენიშვილი დავით, 41. ტულუში ვასილ, 42. კოკაია ივლიანე, 43. ცეცხლაძე გერონტი, 44. ლორდელი ალექსანდრე, 45. ინწკირველი ვლასა, 46. ჩიკვაძე დავით, 47. ბუაჩიძე დავით, 48. ჯორბენაძე ალექსანდრე, 49. წულაძე ზაქარია, 50. ფანჩულია ალექსანდრე, 51. ჯიბლაძე გერმანე, 52. კალანდაძე სილოვან, 53. საჯაია გიორგი, 54. კრიჭაშვილი გიორგი, 55. ვადაჭკორია ამბერკი, 56. რამიშვილი ერეთეოზ;

სოციალისტ-ფედერალისტები: 57. ნაკაშიძე გიორგი, 58. მგალობლიშვილი ნიკიტა, 59. დოლიძე თეოდოზი, 60. მეუნარგია აკაკი;

ეროვნულ-დემოკრატები: 61. ივანიცკი რაფიელ, 62. ნაკაშიძე ნიკოლოზ (იხ. „საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ქართველ საზოგადო მოღვაწეების გაძევება", ვ. ნოზაძის პუბლიკაცია, ჟურნ. „კავკასიონი", XVI—XVII, პარიზი, 1972/73, გვ. 87—94).

ასე აღმოჩნდა კირილე ვეკუა 1922 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში უცხოეთში, კერძოდ, გერმანიაში, ქ. ბერლინში.

კ. ვეკუა სწავლის გასაგრძელებლად ემზადებოდა. მართლაც, სახელმოხვეჭილი გერმანული სამეცნიერო ჟურნალი „FERBE UND LACK" (გერმ., 1966, № 7, გვ. 718) [illegible] ცნობებს გერმანიაში [illegible] კ. ვეკუას ცხოვრება-განსწავლის წლებსა და მოღვაწეობაზე:

„დოქტორი კირილე ვეკუა დაიბადა საქართველოში, თავდაპირველად სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში, 1922 წელს მოვიდა გერმანიაში. (1924 წელს) განაგრძო აქ სწავლა გიოტინგენის უნივერსიტეტში, შემდეგ — ბერლინის ფრიდრიხ-ვილჰელმის უნივერსიტეტში, სადაც მან დაასრულა თავისი სწავლა ქიმიურ დარგში და (1931 წელს) მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ქიმიის განხრით. გარკვეული ხნის განმავლობაში (1935—1938) იგი მუშაობდა ბერლინ-შარლოტტენბურგის „ტეხნიშე ჰოხშულეს" (უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების) ქიმიურ-ტექნიკურ დარგზე პროფესორ უბბელოჰდეს ხელმძღვანელობით და შემდეგ (1938—1941 წწ) პროფესორ როეჰრსთან ხელოვნურ ნივთიერებათა და სალებავთა დარგში ომის დაწყებამდე.

ომის შემდეგ, როცა კვლავ განახლდა ბერლინის „ტეხნიშე ჰოხშულეს" მუშაობა, დოქტორი კირილე ვეკუა გამოცხადდა ინსტიტუტის განკარგულებაში და მას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ინსტიტუტის სალებავთა ლაბორატორიის კვლევა-ძიების საქმის გაგრძელებაში. თავდაპირველად ეს ლაბორატორია დოქტორ კ. ვეკუას ხელმძღვანელობით გაიხსნა იებენშტრასეზე და შემდეგ გადატანილ იქნა ტექნიკურ-ქიმიური ინსტიტუტის აღდგენილ ახალ შენობაში, სადაც იმყოფებოდა 1952 წლამდე, მის დახურვამდე.

დოქტორი კ. ვეკუა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მრავალი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ქიმიის აღნიშნულ სპეციალობაში და მან ბევრი ახალგაზრდა ქიმიკოსი გამოზარდა ამ საქმისათვის. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა 25-ზე მეტი სადიპლომო და სადოქტორო ნაშრომი. დ-რ კ. ვეკუას ბევრი ყოფილი მოწაფე მუშაობს დღეს ლაქებისა და სალებავთა ინდუსტრიაში და აგრეთვე მის მონათესავე მრეწველობაში.

კინეტიკა და ქიმიზმუს პირველი ქმედობისა, ალკიდმარცვის ქიმია, სინტეტური გლიცერიდი, როგორც სალებავი მასალა, ქიმიური და აგრეთვე მოსპალების [illegible] ლაქისა და სპეციალური [illegible] „ლაკ-ფილმების" თვისებათა კვლაფერი ეს იყო დრ. კ. ვეკუას მთავარი მუშაობის არე. დღესაც იგი კვლავ მუშაობს თავის სპეციალობაში. კ. ვეკუას ყოველდღიურად ნახავთ თავის საყვარელ ბერლინში „ტეხნიშე ჰოხშულესთან" არსებულ ტექნიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში, სადაც მან ასე დიდი დამსახურება მოიპოვა.

როგორც მუდამ ყველასათვის დამხმარემ, კეთილმა და თავაზიანმა კაცმა ბატონმა კ. ვეკუამ დიდი პატივისცემა და მოწიწება დაიმსახურა მოწაფეთა და თანამშრომელთაგან. თუ რაოდენ აფასებდა მას ყველა ვინც მას იცნობდა, ეს გამოჩნდა ინსტიტუტში, სადაც მის დაბადების 75 წლისთავის იუბილე გადაუხადეს, გაცხადდა იმ სიტყვებით, რომელიც წარმოთქვეს პროფესორებმა, თანამშრომლებმა და ყოფილმა მისმა მოწაფეებმა" (შდრ. „კავკასიონი", XII, პარიზი, 1967, გვ. 153—154).

„ვინი"-ს ფსევდონიმით (ვფიქრობ, ვ. ნოზაძისაა) გამოქვეყნებული წერილი „კირილე ვეკუა" (იხ. „კავკასიონი", XIV, პარიზი, 1970) დაწვრილებით აღწერს იმ გაჭირვებას, სიდუხჭირეს და ჯაფას სავსე, რომელიც დღიურ ლუკმაპურს დანატრებულმა სტუდენტმა კ. ვეკუამ გამოიარა უცხოეთში უმაღლესი განათლების მიღების გზაზე:

„არ ვიცნობ არც ერთ ისეთ ქართველს, რომელს ასეთი განუზომელი ენერგია გამოეჩინოს თავისი უმაღლესი სწავლის მიღწევისათვის უცხოეთში და მერმე რა პირობებში და ვითარებაში? ფრანგ ტყვეთა ყოფილ ბარაკში ცხოვრება; ყოველთვიური სამოწყალო დახმარება ხუთი მარკის ოდენობით ამერიკული საზოგადოებისაგან და სხვა?! ან როგორ ისწავლოს მეცნიერების ისეთი ძნელი დარგი, როგორიც არის ქიმია? იგი კვირაობით დადის ბერლინელ მსროლელთა ასპარეზზე, რათა თხრილში ჩამჯდარმა უჩვენოს, თუ რომელმა მსროლელმა რა ნიშანში მოარტყა... იგი მიდის რომელიღაც სცენაზე, რათა დათვის ტყავით გადაცმულმა დაიღრიალოს იმავე სცენაზე... იგია კინოგადაღებაზე, სადაც სტუდენტებს პირველ რიგში ღებულობენ მასიურ სცენებში მონაწილეობის მისაღებად... იგი მიდის პარიზს, რათა ზაფხულში, მონპარნასის სადგურზე „შარით" ატაროს და ბარგი გადაზიდოს... ცოტა ფული შეიძინოს და ბერლინში ისევ ქიმიას ჩაუჯდეს... და რა ვიცი, კიდევ რას არ გამოძებნიდა ხოლმე დიდად გაჭირვებული. მაგრამ არასოდეს დავარდნილა! და მისმა ფოლადისებურმა ნებისყოფამ შესძლო ის, რომ დაასრულა ქიმიური დარგი და სადოქტორო ეგზამენი ჩააბარა; და რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, იგი დასტოვეს ამავე დარგის ლაბორანტად, სადაც იგი ეხლა ასწავლიდა სხვებს და ხელმძღვანელობდა სტუდენტებს ქიმიურ მუშაობაში...

...ერთ დღეს მეწვია აქ, პარიზს: უნდოდა ძველი თავისი მეგობრები და ამხანაგები ენახა. ყველა ინახულა. მერმე მეუბნება: წამიყვანეთ სადგურ მონპარნასზე! მინდა ვნახო ის ადგილი, სადაც „შარით"-ს ვატარებდი და „ატანსიონ"-ს გავყვიროდიო. მონპარნასის სადგურს მაშინ ანგრევდნენ: მაინც ავედით ზემო სართულზე და მაჩვენა თავისი სამუშაო ადგილი. რა კმაყოფილებით მიყვებოდა, თუ როგორ მუშაობდა იგი! მონპარნასის სადგურზე მომუშავე და შემდეგ ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ბერლინში..."

მიუხედავად იმისა, რომ, თითქოს, ქიმიკოსი კ. ვეკუა შორს უნდა მდგარიყო პოლიტიკისაგან, იგი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული ეროვნული ემიგრაციის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მუდამ ცდილობდა ეზრუნა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის ეკონომიური და კულტურული დაწინაურებისათვის. ამისთვის იგი არ ერიდებოდა უარი ეთქვა თავის პოლიტიკურ მრწამსს და მსოფლმხედველობაზე და თუ ამას ქართველი ერის ინტერესები მოითხოვდა, მკაცრად გაეკრიტიკებინა ერთ დროს თავისი პოლიტიკური თანამზრახველები. როგორც ვთქვით, 1922 კირილე ვეკუა საქართველოდან გააძევეს ვითარცა სოციალ-დემოკრატი. მაგრამ 30-იან წლებში მას შეუცვლია შეხედულება თავის პარტიაზე. მის მოღვაწეობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში და გაზეთ „თეთრი გიორგის" ფურცლებზე დაუბეჭდავს მწვავე კრიტიკა სათაურით „რად არა ვართ თქვენთან?!" (იხ. „თეთრი გიორგი", № 74—75, 76, 78—79, პარიზი, 1934).

* * *

ილია ვეკუას მიერ წამოტანილი კირილე ვეკუას ტელეფონის ნომერი ბერლინში თბილისიდან პირველად მის ძმისშვილს დარეჯან ვეკუას აუკრეფია და 46 წლის უნახავ ბიძას პასუხად 1966 წლის 15 ივლისს გამოგზავნილ ბარათში მოუწერია:

„ჩემო ძვირფასო დარეჯან!

მიკვირს, რომ სიხარულის გამო გუშინ გული არ გამისკდა. სრულებით მოულოდნელი იყო ჩემთვის შენთან ლაპარაკი.

კარგია, რომ ამ დროს შინ ვიყავი. ჩვეულებრივათ შინ უფრო გვიან მოვდივარ.

მე მოხუცებული ვარ. 17 მაისს 75 წელიწადი შემისრულდა. მე ვსჩიოდი, რომ ამდენი ხანი კიდე ცოცხალი ვარ. 46 წელიწადია რაც მე თქვენთან დაშორებული ვარ. შენ მაშინ 9 წლის იყავი დაახლოვებით.

მე მარტოხელა დავრჩი: ცოლშვილი არ მყავს. ცოლის შერთვის საშუალება 1950 წლამდე არ მქონდა. შემდეგ კი ხანშიშესული ვიყავი, აზრი არ მქონდა დაქორწინებას.

ასეთი მდგომარეობა სულიერად მტანჯავდა მე და ჩემს სიცოცხლეს აზრს უკარგავდა. ახლა კი ღვთის მადლობელი ვარ, რომ კიდო ცოცხალი ვარ, გუშინ შენი ხმა ჩემი ერთ-ერთი ნათესავის ხმა რომ გავიგონე, მე დღეს სულ სხვა კაცი ვარ, ვიდრე მანამდი...

შეიძლება თქვენ გგონიათ, მე თქვენ დაგივიწყეთ, ერთი დღე არ გაივლის, რომ თქვენზე არ [illegible] ქრობდე..."

გერმანიაში ალიარებულ სახელმოხვეჭილ ქართველ მეცნიერ-ქიმიკოსს გული სამშობლოსკენ მიუწევდა. ნათესავებიც ბევრს ცდილობდნენ მასთან შეხვედრას.

აუხდა ოცნება ლტოლვილ მეცნიერს. 1967 წლის ივნისში მან კვლავ ნახა თავისი სამშობლო, ახლო ნათესავებმა შემოატარეს სიყმაწვილის ჟამს მისთვის ძვირფასი ყველა კუთხე. იყო მშობლიურ ახუთში, სადაც ახლომახლო სოფლის მოსახლეობამ მოიყარა თავი. ზოგს ახსოვდა და იცრემლებოდა. ზოგმა გადმოცემით იცოდა ამ ნახევარი საუკუნის წინ გადახვეწილი კაცის შესახებ... ნათესავები სთხოვდნენ სამშობლოს დარჩენას, ხოლო ბ-ნმა ილია ვეკუამ შესთავაზა ფერების ქიმიის ლაბორატორიას გაგიხსნი და ასპირანტსაც დაგინიშნავთ: „მე საქართველოში ვერ დავრჩები, რომლისთვისაც არაფერი გამიკეთებია, ახე ხანდაზმული კი რას შევძლებთ" — იყო მისი პასუხი.

გერმანიაში დაბრუნებული კ. ვეკუა იწერებოდა: „ეს ზაფხული ჩემთვის სიზმარი იყო. როგორ მიხაროდა თქვენთან ყოფნა!.."

დიდხანს ვერ გაძლო უსამშობლოდ მეცნიერის დაღლილმა გულმა: 1968 წლის 28 ივნისს კირილე ვეკუა დასავლეთ ბერლინში გარდაიცვალა...

... 1989 წელს პარიზში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს მიუნხენში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ კარლო ინასარიძემ თავისი მანქანით ჩამომიტანა კირილე ვეკუას არქივი სამშობლოში წასაღებად (იხ. ჩემი, ფრანგული დღიური, თბ., 1990, გვ. 38).

საქართველოში ჩამოსვლისთანავე 1989 წლის შემოდგომაზე ჩვენი ღვაწლმოსილი ქიმიკოსის მეტად საინტერესო და მდიდარი მეცნიერული არქივი დასაცავად გადავეცი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. ახლა ჯერი ჩვენს მეცნიერ-ქიმიკოსებზეა, რომლებმაც თავიანთი პროფესიული სიტყვა უნდა თქვან ამ არქივში დაცული ორიგინალური მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ, რათა იგი ჩადგეს ჩვენი დამოუკიდებელი სამშობლოს სამსახურში...



# წერილი რედაქციას

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვთქვა ჩემი დამოკიდებულება საკითხისადმი, რომელზედაც დუმილის უფლება არავის გვაქვს.

როგორც ყველა პატიოსანი ადამიანი, მეც ვემხრობი სახელმწიფო საბჭოს მოწოდებას მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისადმი, „გამოიჩინონ სახელმწიფოებრივი სიბრძნე და წინდახედულობა, წინ აღუდგნენ ბოროტებას, აღკვეთონ ძმათამკვლელი ომის საფრთხე". მაგრამ მე ვერ დავეთანხმები დამნაშავეთა დასჯის მოწოდებით მასობრივი კამპანიის გაშლას. რამდენჯერმე უკვე ვთქვი და კვლავ ვიმეორებ, რომ როგორც ცნობილი ან უცნობი პირების მიერ დივერსიული აქტების მთელი სერიის განხორციელება დასავლეთ საქართველოში, ამ აქტების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით მოსახლეობის მასობრივი აკლების ორგანიზაცია მე მიმაჩნია, საბოლოო ანგარიშში, საქართველოში უცხო ძალების პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენის შედეგად. მიმაჩნია, რომ საჭიროა ჩვენი ისტორიის ამ ტრაგიკული და სამარცხვინო ეპიზოდების გამოძიება (თუ დღეს ვერა, მომავალში მაინც) და ბრალეულთა წარდგენა სამსჯავროს წინაშე როგორც უცხო ნების ცნობიერი ან არაცნობიერი შემსრულებლებისა. თუ ჩემი ეს პოზიცია ვისმე ღირსების შემლახავად წარმოუდგება, მზად ვარ პატიოსან ორთაბრძოლაში პასუხი გავცე ყველას, ხსენებულ მოვლენათა აქტიური მონაწილის და ხელისუფლების პოზიციის გულმოდგინე დამსაბუთებლის ბატონ ჯ. იოსელიანის ჩათვლით.

მაღალ თანამდებობის პირთა დაჭერა დამნაშავეების მიერ, ვერ უნდა გახდეს სამოქალაქო ომის საფუძველი. არის რეალური საფრთხე, რომ ვერ შესრულდება ხელისუფლების მიერ განცხადებული განზრახვა, შეიარაღებულ ძალთა საშუალებით მხოლოდ რკინიგზა და სხვა უმნიშვნელოვანესი ობიექტები იქნება დაცული, და შეიარაღებული მოძრაობა ტრაგიკულად გავრცელდება ამ ობიექტების გარეთაც.

ნოდარ ნათაძე

# „უპარტიოთა პარტია": მითი და სინამდვილე

ამა წლის 17—23-ივლისის გაზეთ „საქართველოში" დაიბეჭდა ბატონ ფელიქს კოჟიაშვილის წერილი „სოციალ-დემოკრატიული თუ სოციალ-დემაგოგიური?!", რომელიც ასე იწყება:

„დღეს საქართველოში, ამ „დეფიციტის ქვეყანაში" თუ რაიმეს ნაკლებობას არ განვიცდით, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური პარტიებისას (იმდენად დიდი გაჭირვება შეიქმნა სახელწოდებებზე, „უპარტიოთა პარტიაც" კი იქნა გამოგონებული!)".

რადგანაც ბატონი ფელიქს კოჟიაშვილი არ აღნიშნავს, თუ დღევანდელ საქართველოში ვის მიერ იქნა გამოგონებული ორი ურთიერთგამომრიცხავი ტერმინისაგან შედგენილი აბსურდული სახელწოდება „უპარტიოთა პარტია", დაინტერესებულ მკითხველს ჩვენ ვაუწყებთ, რომ ამ გამოგონების ავტორია... ბატონი ფელიქს კოჟიაშვილი, რამეთუ თანამედროვე საქართველოში არ არის და არც არასოდეს ყოფილა „უპარტიოთა პარტია".

ბატონ ფელიქს კოჟიაშვილის მიერ სახელწოდების „უპარტიოთა პარტია" „გამოგონებას", როგორც ჩანს, იმპულსი მისცა ამა წლის 4 აპრილს თბილისში დაფუძნებულმა საქართველოს უპარტიო პატრიოტთა გაერთიანებამ, რომელიც არ არის პარტია. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის არსის ფართო საზოგადოებრიობისათვის გაცნობის მიზნით 5 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა „საქართველოს უპარტიო პატრიოტთა გაერთიანების წესდება" (გვ. 3), რომლის პრეამბულაშიც ვკითხულობთ:

„საქართველოში მრავალმა ჭეშმარიტმა პატრიოტმა განხეთქილების სათავედ მიიჩნია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაყოფა დაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიებად (საზოგადოებებად, კავშირებად, ბლოკებად და ა.შ.) და ამიტომაც არ ისურვა რომელიმე მათგანის წევრობა. ამ ადამიანების პოზიციის სისწორე სავსებით დაადასტურა პოლიტიკურ დაჯგუფებათა ქვეყნისათვის უაღრესად საზიანო ურთიერთბრძოლამ, რომელმაც ერი სამოქალაქო ომის ზღვრამდე მიიყვანა. ამასთანავე ისიც სავსებით დადასტურდა, რომ უპარტიო პატრიოტთა მამულიშვილური ძალისხმევა, ინდივიდუალური, არაორგანიზებული ხასიათის გამო, არაეფექტურია და პრაქტიკულად გავლენას ვერ ახდენს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. აღნიშნული ვითარების უკეთესობისაკენ შესაცვლელადაა მოწოდებული საქართველოს უპარტიო პატრიოტთა გაერთიანება, რომლის მეშვეობითაც უპარტიო პატრიოტებს მიეცემათ შესაძლებლობა ორგანიზებულად და ამდენად, ეფექტურად ამოქმედდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ და გამოხატონ თავიანთი საერთო პოლიტიკური ნება ქვეყნისა და ხალხისათვის ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ყოველი პარტიისათვის აუცილებელი პარტიული იდეის უქონლობა უპარტიო პატრიოტთა გაერთიანებას მთლიანად ანთავისუფლებს პარტიათა ბრძოლაში მონაწილეობისაგან და საშუალებას აძლევს მთელი თავისი პოტენციალი უკლებლივ და პირდაპირ მოახმაროს სამშობლოს სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრას".

პრაქტიკამ სრულიად უეჭველი გახადა, რომ საქართველოს საშინაო პოლიტიკის ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიათა და ბლოკთა ანაბარა მიტოვებას უცილობლად მოსდევს საქართველოს გადაქცევა პარტიული და პიროვნული ამბიციების ბრძოლის ველად! ამდენად, ცხადზე ცხადია, რომ პოლიტიკურ სარბიელზე მუდმივად უნდა ფიგურირებდეს პოლიტიკური უფლებების თვალსაზრისით პარტიების თანასწორი უპარტიო მოსახლეობის ორგანიზაცია, რის განსახორციელებლადაც ერთადერთი საშუალება არსებობს — უპარტიო პატრიოტთა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომელსაც საბოლოოდ ეწოდება „მოძრაობა „ერთიანი საქართველო", რა სახელწოდებითაც გაიარა რეგისტრაცია როგორც იუსტიციის სამინისტროში, ისე საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

გიორგი გვინჩიძე
მოძრაობის „ერთიანი საქართველო"
მთავარი საკოორდინაციო
საბჭოს თავმჯდომარე

# განცხადება

1992 წლის 14—15 აგვისტოს გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის რესპუბლიკური კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. პოლიტიკური მდგომარეობა;
/მომხსენებელი ნოდარ ნათაძე/
2. ეკონომიკური კურსი და მისი პერსპექტივები;
/მომხსენებელი რომან გოცირიძე/
3. მიწის პრივატიზაციის პირველი ეტაპის შესახებ;
/მომხსენებელი პაატა კოღუაშვილი/
4. საორგანიზაციო საკითხები.

დელეგატთა რეგისტრაცია 14—15 აგვისტოს 10 საათიდან.
დასაწყისი 11 საათზე.
მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი № 7, (ცეკავშირის შენობა).

საქართველოს სახალხო ფრონტის
საორგანიზაციო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქნებ დაგვეხმარონ

დღეს რომ ყველანაირად დუხჭირი ცხოვრება გვაქვს, ეს ისედაც გასაგებია და ზედმეტი წუწუნითაც რომ საქმე არ გასწორდება, ესეც ცხადია. მაგრამ, მაინც, როგორც ავადმყოფი და წამლებს მიჩერებული კაცი, იძულებული ვარ ჩემი გულისტკივილი გამოვხატო იმის გამო, რომ ქალაქის აფთიაქები თითქმის დაცარიელებულია და ეს ავადმყოფი კაცი (რამდენიმე დაავადებით) იძულებული ვარ კომერციულ აფთიაქებში ვეძებო წამლები, სადაც 18 კაპიკიან კორვალოლის წვეთებს 25 მანეთად ყიდიან (თუ არ ვცდები, კორვალოლს აქვე, თბილისში ამზადებენ). სხვა წამლების ფასს ნუღარ იკითხავთ! მომრავლებული კომერციული აფთიაქები რომ დროის კარნახია, ესეც მესმის, მაგრამ იქნება რამე ილონონ და დაგვეხმარონ რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს მესვეურები, რომ ჩემისთანა ავადმყოფმა და გაჭირვებულმა კაცმა კორვალოლი და ამ რანგის არცთუ ისე დეფიციტური წამლები მაინც სახელმწიფო აფთიაქებში შეიძინოს და ამით ცოტა შეღავათი მიეცეს როგორც მატერიალურად, ასევე მორალურადაც.

ბივი ჭყოიძე
შრომის ვეტერანი




როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია „ამირანის თქმულება" (გამომცემლობა „ნაკადული") არის ცდა — ეძიოს გზა ჭეშმარიტებისაკენ და გაულვივოს ცნობისწადილი ჩვენს მკითხველ საზოგადოებრიობას — უპირველესად, ახალგაზრდობას — ამ იდუმალების ზოგიერთი მნიშვნელოვანი მხარის შესაცნობად.

წიგნში კრიტიკულადაა გადასინჯული ის ძირითადი შეხედულებანი, რაც ამ თქმულების ირგვლივ გამოთქმულა და ჩამოყალიბებულია სრულიად განსხვავებული კონცეფცია. დაწერილია სადად, ექსპრესიულად და ცოცხლად, ბელეტრიზებული ჩანართებით, რაც მეტად აიოლებს მის აღქმას.

წიგნის რეცენზენტია ზურაბ კიკნაძე და თამაზ ჩხენკელი, გემოვნებით გააფორმა ლევან ცუცქირიძემ.

„ამირანის თქმულება" უკვე გამოტანილია გამომცემლობა „მერანის" მაღაზია-სალონში (რუსთაველის გამზირი, 42)... ტირაჟის (რაც გარემოებათა გამო მეტად მცირეა და ყველა მსურველს ვერ გაწვდება) გარკვეული ნაწილი გათვალისწინებულია თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებისათვის.


# კომერსანტების, საწარმო-დაწესებულებების, ფირმებისა

## და კერძო პირთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ გარანტირებული იყოთ თქვენი ტვირთების უდანაკარგოდ და შეუფერხებლად გადაზიდვაში რკინიგზის ტრანსპორტით, რომელიც დღეს ყველაზე უფრო მომგებიანია სატრანსპორტო საშუალებათა შორის, მიმართეთ საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურს, ერთადერთ ოფიციალურ სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია უდანაკარგოდ გადაიტანოს თქვენი ტვირთი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ საქართველოს ნებისმიერი საწყისი პუნქტიდან ყოფილი საბჭოთა იმპერიის ნებისმიერ ბოლო პუნქტამდე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, (რკინიგზის სამმართველოს შენობა მე-4 სართული), ტელეფონი: 99—47—25, სადღეღამისო: 95—20—47, 99—47—75.



# ფირმა „მარეთი"

გიწვევთ სამოგზაუროდ

## ჩინეთში — ბათუმი — ხაბაროვსკი — ხარბინი — ბათუმი

მოგზაურობის ღირებულებაა — 190 ამერიკული დოლარი და 20 ათასი მანეთი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარჯები ბათუმიდან ბათუმამდე.

გარდა ამისა ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ საგზურები შემდეგ კურორტებზე:
ქობულეთი, ბორჯომი,
ფასანაური, ციხისძირი.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 45, მე-13 სართული, პირველი ოთახი (მეტრო „დელისთან" — „საქსოფშენის" მაღლივი შენობა).

ტელეფონი — 31-47-76


# საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაციის განცხადება

საქართველოს ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია დიდი კმაყოფილებით ეხმაურება ეროვნული თვითშეგნების ასოციაციის ინიციატივას საქართველოში მოაწყოს კონკურსი „ქართლის ცხოვრების" ცოდნაში. ჩვენ ვთვლით, რომ ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი, პატრიოტული საქმეა და ვაცხადებთ რომ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ და მხარში ამოვუდგეთ ამ იდეის ავტორებს მის პრაქტიკულ ხორცშესხმაში.

საქართველოს ახალგაზრდა
ისტორიკოსთა ასოციაციის
პრეზიდიუმის სახელით:
პაატა სურგულაძე,
მანანა სანაძე,
ზაზა აბაშიძე,
დავით ნინიძე,
ნესტან კირთაძე,
ოთარ ჯანელიძე,
დავით დარჩიაშვილი,
ბიძინა ბარათაშვილი.


## იყიდება

—ახალი რუმინული სამზარეულო „ნონა"
(აქვს კუთხის სავარძელი).
ცნობებისათვის დარეკეთ: 62-00-67, საღამოს 7-დან 10 საათამდე.

## ვცვლი

— ახალ რუმინულ სასადილოს „მონა" ოროთახიან იზოლირებულ ბინაზე.
ტელეფონი: 34-02-87.



ინდექსი 66447

ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე
სერგო ჯანაშია